# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


სამშაბათი, 29 ნოემბერი. 2016 წ. №222 (8113), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


**„ცრუსთავი-2“-ის გენერალური „პროკურორი“ ნიკა გვარამია კვლავაც თავხედურად ემუქრება უზენაეს სასამართლოს და უტიფრად ებღაუჭება უკანონოდ დაპატრონებულ ტელეტახტს!**

**ნუთუ ასეთი უსუსურია ქართული მართლმსაჯულება, რომ ნაცების პანდორას ყუთის მთავარ ცილისმწამებელს კიდევ დიდხანს აჯეჯილებს?!**





## მაოხარი გზირის აჩრდილი

5

უკრაინა გაგვებუტა



## ვინ რა მისწერა დონალდ ტრამპს კავკასიიდან?!

6

**როგორ აისახება სამხრეთ კავკასიაზე ტრამპის გაპრეზიდენტება და უნდა ჰქონდეს თუ არა საქართველოს ვაშინგტონის სამომავლო მხარდაჭერის იმედი?**

## მომაკვდინებელი სათამაშოები

4

**მაქსიმალურად მოარიდეთ ბავშვები მავნე ნივთიერებებით გაჯერებულ სათამაშოებს!**

**მამუკა გორგოძე:**

## ასეთი ანგარიშით წაგება არ გვექადრება

10

კახა კახიშვილი

3



## მინისტრის უპრეცედენტო პროექტი, რომელიც კრიმინალის გავლენას შეამცირებს

## ახალმა მინისტრთა კაბინეტმა სტარტი აიღო...

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ახალი მინისტრთა კაბინეტის წევრების დანიშვნის ბრძანებას ხელი მოაწერა.

განახლებული სამთავრობო გუნდი, გიორგი კვირიკაშვილის მეთაურობით, რომელსაც პარლამენტმა ნდობა 26 ნოემბერს, რიგგარეშე სესიაზე გამოუცხადა, თანამდებობრივი უფლებამოსილების შესრულებას ოფიციალურად შეუდგა.

## კახა კალაძე: ეკონომიკური გუნდი მუშაობს, რათა დოლარში აღებული კრედიტები ლარში გადაიყვანონ



ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის თქმით, ეკონომიკური გუნდი მუშაობს, რათა მოხერხდეს დოლარის აღებული კრედიტების ლარში გადატანა.

**„ამასთან დაკავშირებით ბევრჯერ გაკეთდა განცხადება. დღეს ყველაზე მტკივნეული ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის არის ზუსტად დოლარის გამყარება ლართან მიმართებაში, რადგან ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს კრედიტები ბანკებიდან დოლარში აქვს გამოტანილი და ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მათთვის ძალიან მძიმეა. ჩვენ გვაქვს მოსაზრება იმისა, რომ მოვახერხოთ ამ კრედიტების ლარში გადაყვანა, ხელი შეუწყოს და დაეხმაროს ხელისუფლება. დარწმუნებული ვარ, რომ ამ პროექტის განხორციელება გარკვეული შვება იქნება იმ ადამიანებისთვის, ვისაც ეს პრობლემა აწუხებთ“,** — განაცხადა კალაძემ.

## ალეკო ელისაშვილი კვლავ მატრაკვეცობს...



ალეკო ელისაშვილი „თბილისის განვითარების ფონდის“ გაუქმებას მოითხოვს და მიზეზად ფონდის გაუმჭვირვალე ფინანსურ საქმიანობას და კორუფციის რისკებს ასახელებს. ელისაშვილის აზრით, ფონდის ფუნქციები შესაძლოა, მერიის სხვა სამსახურებმა შეითავსონ.

**„დავრწმუნდი ჩემს პოზიციაში, რომ ეს გაუგებარი ფონდი, სადაც გაუგებარი და კორუფციული გარიგებები ხდება, არის დასახური, გასაუქმებელი და ეს უფლებამოსილება უნდა გადაეცეს კეთილმოწყობის სამსახურს,“** — აცხადებს ელისაშვილი, რომელმაც ეს განცხადება გუშინ საკრებულოში, თბილისის განვითარების ფონდის ხელმძღვანელსა და „რესპუბლიკური პარტიის“ დეპუტატებს შორის გამართული შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

ფონდის გაუქმების, ან მისი სტრუქტურული ცვლილების აუცილებლობაზე საუბრობს „რესპუბლიკური პარტიაც“. ხათუნა სამნიძის განცხადებით, ფონდის ფუნქციის შესრულება მერიის შესაბამის სამსახურსაც შეუძლია: **„ვერ ვხედავთ ამ პროცესში გამჭვირვალობას, კონცეპტუალურ სისტემურ მიდგომას. ვინც არ უნდა იყოს მისი თავმჯდომარე, თუ არ მოხდება მთლიანად მისი სტრუქტურული ცვლილება, ან არ გაუქმედება იმიტომ, რომ იმას, რასაც ფონდი აკეთებს, ამის გაკეთება შეუძლია მერიის სამსახურსაც და არ არის სავალდებულო, რომ არსებობდეს ფონდი,“** — განაცხადა ხათუნა სამნიძემ.

# პარლამენტი კანონზე აღარ იმსჯელებს!



სამხედრო სავალდებულო გაწვევის შესახებ კანონის განხილვაზე პარლამენტარები უარს ამბობენ.

**„ვინაიდან აღნიშნულთან დაკავშირებით ეროვნულმა უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური რჩება და არა მარტო რჩება, არამედ ახალი კომპონენტებით უნდა შეივსოს, აღარ იქნა მიზანშეწონილი მსჯელობის გაგრძელება,“** — განაცხადა კომიტეტის წევრმა კობა ნარჩემაშვილმა.

აღნიშული კანონპროექტი პარლამენტში რამდენიმე თვის წინ მას შემდეგ წარადგინეს, რაც თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თინა ხიდაშელმა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა გააუქმა.თუმცა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, საკანონმდებლო ორგანო ამ საკითხზე აღარ იმსჯელებს.

# საკონსტიტუციო ცვლილებებზე მუშაობა შეჩერებულია



იურიდიულ საკითხთა კომიტეტის გადაწყვეტილებით, საქართველოს პარლამენტმა წინა მოწვევის საკანონმდებლო ორგანოში დაწყებულ საკონსტიტუციო ცვლილებებზე მუშაობა შეაჩერა.

**„ერთიანი სისტემური მიდგომა უნდა არსებობდეს და არ უნდა მოხდეს საკითხის ფრაგმენტული განხილვა. ასეთივე მიდგომა უნდა იყოს საარჩევნო კოდექსში შესაძლო ცვლილებებზეც. საარჩევნო საკითხზე მომუშავე ჯგუფმა უნდა განიხილოს ყველა ის საკითხი, რომელიც საარჩევნო კოდექსს ეხება“,** — განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ. მისივე თქმით, ამ საკითხებზე საკონსტიტუციო ცვლილებებზე მომუშავე კომისიამ უნდა იმუშაოს.

# ოკუპაციის შესახებ კანონი ლიბერალური ხდება

**ოკუპაციის შესახებ კანონი უფრო ლიბერალური გახდება. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი საკუთარ საქმიანობას მე-9 მოწვევის პარლამენტში ამ გადაწყვეტილებით იწყებს. დეპუტატების განცხადებით ცვლილებები გულისხმობს პასუხისმგებლობის გარკვეულ შემსუბუქებას.**

კერძოდ კი, თუ აქამდე მოქალაქის მიერ საოკუპაციო საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის შემთხვევაში მოქალაქის მიმართ პირდაპირ იწყებოდა სისხლის სამართლებრივი დევნა, კანონპროექტი, რომელიც პარლამენტში 2013 წლიდანაა წარდგენილი და მას შემდეგ ეს პროექტი შეჩერებულია, გულისხმობს იმას, რომ პირველ ჯერზე, საოკუპაციო საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის შემთხვევაში, იქნება მხოლოდ ადმინისტრაციული ჯარიმა და მხოლოდ მეორედ გადმოკვეთის შემთხვევაში დადგება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამას საპარლამენტო ოპოზიცია აპროტესტებს.

**„ეს არის 2013 წლის კანონპროექტი. პაატა ზაქარეიშვილი იყო ამის ლობისტი, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ იყოს და იყოს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა პირველ ჯერზე. ეს არაფრით არ არის დასაბუთებული და ამ შემთხვევაში მხარს უჭერენ ამის გაგრძელებას. აქ ძალიან კარგად ჩანს, ხელისუფლების პრიორიტეტები. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამის წინააღმდეგ დავაფიქსირეთ ჩვენი პოზიცია და ვიბრძოლებთ, რომ საზოგადოების ყურადღება მივაპყროთ ამ ძალიან მნიშვნელოვან სენსიტურ საკითხზე.“** — აცხადებს „ენმ“-ს წევრი ოთარ კახიძე.

# პირველ რიგში, ხალხი უნდა დავიბრუნოთ!

იუსტიციის მინისტრის შეფასებით, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის არსებობა აუცილებელია, თუმცა მისივე განცხადებით, კანონი ზოგიერთ მუხლში გაუმჯობესებას საჭიროებს:

**„ის, რომ ოკუპაციის კანონი ჩვენს ქვეყანაში აუცილებელია და ის უნდა არსებობდეს, ფაქტია. ჩვენი მთავრობა ამას მხარს უჭერს და არსებობს მოსაზრებები, თითქოს საპირისპირო, მაგრამ ეს ვერ იქნება გაზიარებული. რაც შეეხება თვითონ არსებული კანონის დახვეწას, მეც ბევრჯერ მითქვამს, რომ ოკუპაციის შესახებ კანონი ზოგიერთ მუხლში გაუმჯობესებას საჭიროებს, იმისთვის, რომ სხვებს შორის, ადამიანის უფლებები უკეთესად იყოს დაცული და ხალხებს შორის ურთიერთობები იყოს გაადვილებული.**



**ერთ დღეს, როდესაც დაგვიდგება დრო, რომ უნდა გავაერთიანოთ საქართველო, ტერიტორიები უნდა გაერთიანდეს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ტერიტორიებზე ცხოვრობს ხალხი და ჩვენ, პირველ რიგში, ხალხი უნდა დავიბრუნოთ, მასთან ურთიერთობები აღვადგინოთ და ამაში კანონმა ხელი არ უნდა შეგვიშალოს“,** — განაცხადა თეა წულუკიანმა.

# კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო!..



**„ჩვენ გვჭირდება ახალი კომბლე, ახალი ნაცარქექია, ახალი რწყილი, ახალი ჭიანჭველა, რომლებიც კი არ ართმევენ ვინმეს რამეს, არამედ პატიოსანი შრომით აკეთებენ. ეს გვჭირდება. არც კომბლეს საწინააღმდეგო მაქვს, არც ნაცარქექიის, ოღონდ ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რომ 21-ე საუკუნეში ვიხელმძღვანელოთ 21-ე საუკუნის ეროვნული ფასეულობებით.**

**თქვენც იცით და იმ ხალხმაც ვინც მაკრიტიკებს, რომ მშობლები ცვლიან ამ ზღაპრებს და ისე უყვებიან თავის ბავშვებს, იმიტომ რომ ვერ მიმხვდარა დედა შვილს რატომ აჭმევს მელიას. ვისაც უნდა რომ მათი შვილები დაემსგავსონ კომბლეს, ნაცარქექიას, ჭიანჭველას და ასე შემდეგ ჩვენ ვერ დავუშლით, მაგრამ ვიმსჯელოთ ამ თემაზე და ვინც იტყვის რომ რაღაც შესაცვლელია ე.ი იმის აზრიც გავითვალისწინოთ“,** — განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

## დედაქალაქი

# ავის მომასწავებელ ღობეთა მიღმა



## რა შეგვახსენა თბილისში, შარტავას ქუჩაზე 16 წლის სკოლის მოსწავლის სიკვდილმა?..

**ოდესღაც ამ ადგილას საბურთალოს ბაზარი ხმაურობდა, რომელიც დიდი ხანია, აღარ არსებობს, მის ადგილას კი ბოლომდე აუშენებელი 17-სართულიანი კორპუსი წამომართულა, რომლის მშენებლობა, ალბათ, ცხრა-ათი წლის წინათ დაიწყო — ზუსტი დრო, როგორც ჩანს, აღარავის ახსოვს. შემდეგ კრიზისი დაიწყო — ეკონომიკური გასაჭირი, სახლის მშენებლობაც გაჩერდა, თანაც დიდი ხნით. ჰოდა, დგას ასე, ხის ღობით შემორაგული, თითქოს გაცრუებული იმედებისა და შეუსრულებელი დაპირებების ძეგლი.**

ცოტა ხნით წინათ სახლის მახლობლად 16 წლის ქალიშვილის ცხედარი ნახეს. რა მოხდა — ჯერჯერობით დანამდვილებით არავინ იცის. ზოგნი ამბობენ, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულაო, სხვები ჯიუტად დანაშაულზე ლაპარაკობენ. სამართალდამცავები კი სდუმან.

ზუსტად მხოლოდ ერთი რამაა ცნობილი: დაღუპული გოგონა ყოფილი ბაზრის ავბედით ღობესთან განთავსებულ ხილ-ბოსტნეულის პავილიონის გამყიდველის ქალიშვილია. სკოლას გაისად ამთავრებდა. ბევრს იგი კარგად ახსოვს: ეს იყო ტანადი, ლამაზი გოგონა, რომელიც ყველას უყვარდა. იგი დედმამასთან ერთად პოლიტექნიკური ინსტიტუტის ყოფილ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა. ქალიშვილის დაღუპვისთანავე ოჯახი მშობლიურ მხარეში — ადიგენის რაიონში დაბრუნდა, სადაც იგი დაკრძალეს.

საბურთალოს ყოფილი ბაზრის ადგილას დაუმთავრებელ სახლს ადგილობრივ მცხოვრებლებში წლების მანძილზე ცუდი სახელი აქვს გავარდნილი. მიტოვებული ფართი ნაგვითაა სავსე, ბევრი გამვლელი აქვე, ღობესთან ისაქმებს კიდეც. მშენებლების მიერ ამოთხრილ და მერე მიგდებულ საძირკველში წლიდან წლამდე წყალი დგება — აქ ბინძური, მყრალი, მწვანე ჭაობი წარმოიშვა, სადაც ათასნაირი მწერი მრავლდება. წლის ცხელ დროს კი კოღოებისგან ხომ საშველი არ არის.

მაგრამ მარტო ეს როდი ადარდებთ ახლომდებარე სახლების ბინადართ. უბედურება კიდევ ისაა, რომ ყოფილი მშენებლობის ტერიტორიაზე ადგილობრივმა ბიჭ-ბუჭობამაც დაიწყო თავშეყრა. ისინი აქ ხან დამალობანას, ხან დაჭერობანას, ხან რასა და ხან რას თამაშობენ, სართულებზე ძვრებიან, ერთმანეთს დასდევენ და ყოველ წუთს კისრის მოტეხვის საფრთხეში იგდებენ თავებს... „ან კიდევ ვინ იცის, რა წამოუვლით მშობლების თვალყურს მოფარებულ მოზარდებს!“ — უმწეოდ ასავსავებს ხელებს შარტავას ქუჩის №45-ა სახლის ბინადართა ამხანაგობის „35-1“-ის თავმჯდომარე **მარიკა ბადაგაძე**. ვინ მოთვლის, რამდენი წერილი მისწერა ქალბატონმა მარიკამ თბილისის მერს დავით ნარმანიას, საკრებულოს დეპუტატ დავით ზურაბიშვილს, ადგილობრივი გამგეობის თავმჯდომარესა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს. ყოფილ სამშენებლო ობიექტზე მრავალრიცხოვან უწესრიგობათა, საშინელი ანტისანიტარიული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, ქალბატონი მარიკა ბადაგაძე ლამის ყველა წერილში მოზარდების უსაფრთხოების თემას სწევს, რომლებმაც მიტოვებული მშენებლობა სათამაშო მოედნად გაიხადეს.

მაინც, რის გაკეთება იყო საჭირო? უპირველესად, ალბათ, საჭირო იყო ობიექტის დაცვის ორგანიზება, მის ტერიტორიაზე უცხო პირთა, განსაკუთრებით კი მოზარდთა შეღწევის შესაძლებლობის აღკვეთა. სამწუხაროდ, ქალბატონ ბადაგაძის ყველა ასეთ მიმართვას, თხოვნას, შეხსენებას თანამდებობის პირები ან უპასუხოდ ტოვებდნენ, ანდა სიამაყით ატყობინებდნენ, რომ მშენებლებს მორიგი ჯარიმა დაუწესეს. რა თქმა უნდა, ჯარიმა — დასჯის კარგი საშუალებაა, განსაკუთრებით ქალაქის ბიუჯეტის შესავსებად, მაგრამ, ცხადია, მათი მეშვეობით ქალბატონ მარიკა ბადაგაძის მიერ წამოწეულ საკითხთა გადაჭრა შეუძლებელია...

ცხადია, რომ აღნიშნული პრობლემა მარტო ამხანაგობა „35-1“-ის წევრებს როდი ადარდებს. დღესდღეობით თბილისის ბევრ უბანს „ამშვენებს“ ასეთი ხის ღობეები, რომლებიც მოქალაქეთა თვალს ვითომ აფარებენ დაწყებულ, მაგრამ შემდგომ, სამწუხაროდ, მიტოვებულ სამშენებლო ობიექტებს, ძირითადად საცხოვრებელ სახლებს. სხვათა შორის, მარტო შარტავას ქუჩაზე, ეს კი ბატონ ნარმანიას რეზიდენციის რომ იტყვიან, „ყურის ძირშია“, ასეთი რამდენიმე სახლია. პრესაში ბევრი იწერება იმ მოქალაქეთა მწარე ხვედრზე, ვინც სამშენებლო კოოპერატივებში საკუთარი დანაზოგი სახსრები დიდი ხანია, შეიტანა, თუმცა კი კანონიერად კუთვნილი საცხოვრისი დღესაც არ მიუღია. მიზეზები კარგადაა ცნობილი: ფული დახარჯულია, სახლები კი დაუმთავრებელი დარჩა. რამდენი გულისწყრომის წერილი დაიწერა, რამდენი საყვედური და გესლიანი სიტყვა ითქვა მშენებელთა მისამართით, ვინ მოთვლის! მაგრამ მათ ყველაფერზე ერთი პასუხი აქვთ: კრიზისია, კრიზისი, კრიზისი...

სამწუხაროდ, როცა საქმე ჩვენს მოტყუებულ თანამოქალაქეებს ეხება, რომლებსაც სამშენებლო ფირმების მეპატრონეები ბინებს ჰპირდებოდნენ, მაგრამ არა და არ აღირსეს, ჩვენი მედიის ყურადღების არეალს მიღმა რჩება ის მრავალრიცხოვანი საფრთხეები, რომლებსაც მიტოვებული მშენებლობების ტერიტორიები შეიცავენ. არადა, მუნიციპალური სამსახურების მხრიდან ეს უყურადღებოდ მიტოვებული დაუმთავრებელი მშენებლობების მოედნები ამასობაში სხვადასხვა სამართალდარღვევათა, მეტიც — დანაშაულთა კერებად იქცა. თუ რა ხდება კერძოდ ხის ღობეებს მიღმა, რომლებიც მოქალაქეთა თვალს დაუსრულებელ მრავალსართულიან ნაგებობათა ჩონჩხებს უფარავენ, ხეირიანად არავინ იცის. არადა, კითხვა უამრავია, მაგალითად: ვის შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს პირთა ჯგუფს, შეათრიოს (ანდა შეიტყუოს) ასეთ ტერიტორიაზე ვინმე და ანგარიში გაუსწროს მას? განა არსებობს რომელიმე ოფიციალური სტრუქტურა, რომელიც ამ საკითხით არის შეწუხებული?

პასუხები, სამწუხაროდ, არადამაიმედებელია.

შარტავას ქუჩაზე დაუმთავრებელ სახლში 16 წლის სკოლის მოსწავლე გოგონას ტრაგიკულმა სიკვდილმა ეს ამბავი კიდევ ერთხელ შეგვახსენა.



**ვადიმ ანასტასიადი,**
**გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი.**

ციხის „უნივერსიტეტი“



# კახა კახიშვილის უპრეცედენტო პროექტი, რომელიც კრიმინალის გავლენას შეამცირებს

**კახი კახიშვილი პარლამენტს აღკვეთის ღონისძიების ახალი სახის — წინასააღკვეთო პრობაციის შემოღებას სთავაზობს. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრობის კანდიდატის განცხადებით, დღეს სასამართლოს მიერ მხოლოდ ორი ეფექტური აღკვეთის ღონისძიების სახე გამოიყენება, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშია გაწერილი.**

**— პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მხოლოდ ორი ეფექტური აღკვეთის ღონისძიების სახეა, რომელიც გამოიყენება სასამართლოს მიერ — გირაო და პატიმრობა, აქედან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული, უფრო მეტად ეფექტური აღკვეთის ღონისძიების არარსებობის შემთხვევაში ძირითადად გამოიყენება პატიმრობა, ამიტომ შორს წავედით და შევთავაზებთ საქართველოს პარლამენტს წინასააღკვეთო პრობაციის შემოღებას, იმისთვის რომ შევამციროთ წინასწარ პატიმრობაში მყოფი ადამიანების რაოდენობა,** — განაცხადა კახა კახიშვილმა.

გარდა ამისა, კახიშვილი პარლამენტს ადმინისტრაციული პატიმრობის ვადების შემცირებასაც შესთავაზებს. კონკრეტულად, მაღალი რისკის შემთხვევაში, პატიმრობა 90 დღიდან 60 დღემდე უნდა შემცირდეს, საშუალო რისკის შემთხვევაში კი, 60-დან 30 დღემდე. როგორც კახიშვილმა აღნიშნა, ადმინისტრაციული პატიმრობის ვადები პარლამენტის მხრიდან მხარდაჭერის შემთხვევაში შემცირდება.

**— 203 მსჯავრდებული არის საშიშროების მაღალი რისკის მქონე, 3 265 მსჯავრდებული — საშიშროების საშუალო რისკის, 158 მსჯავრდებული — საშიშროების დაბალი რისკის, ხოლო 13 მსჯავრდებული — საშიშროების მომეტებული რისკის მქონეა. ამავდროულად, გვაქვს გრანდიოზული გეგმები მომავალთან დაკავშირებით. იწყება უპრეცედენტო პროექტი, 14-დან 21 წლამდე მსჯავრდებულებისთვის ცალკე დაწესებულების აშენება.**

**ჩვენი აზრით, 18 წლის ასაკის მიღწევისთანავე, არ იქნებოდა სწორი ასეთი პატიმრები, სრულწლოვანი მსჯავრდებულების დაწესებულებაში გადავიყვანოთ. ამიტომაც, ევროკავშირის რეკომენდაციით და დახმარებით შეიქმნება 14-დან 21 წლამდე მსჯავრდებულებისთვის დაწესებულება, სადაც ცალკეული პროგრამები იქნება უზრუნველყოფილი ამ ასაკისთვის, რათა მომავალში საზოგადოებაში სრულად ინტეგრირებულად მივიღოთ ასეთი ტიპის ადამიანები, სასჯელის მოხდის შემდეგ,** — აღნიშნა კახა კახიშვილმა.

14-დან 21 წლამდე მსჯავრდებულებისთვის ცალკე დაწესებულების აშენებას მნიშვნელოვანს უწოდებს ფსიქოლოგი **რამაზ საყვარელიძე,** რომლის განცხადებით, პროექტი თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდების საზოგადოებაში დასაბრუნებლად, რაც ხელს შეუწყობს კრიმინალის გავლენის შემცირებას. როგორც ფსიქოლოგი ამბობს, საბჭოთა პერიოდში შესაბამისი გამოცდილების მქონე ადამიანებში იყო ასეთი გამოთქმა — ვინც ციხეში იჯდა, მან გაიარა ციხის უნივერსიტეტი. მაშინ ციხეში ჯდომა კრიმინალურ სამყაროსთან ზიარების ფორმად მიაჩნდათ.

**— ასეც იყო წლიდან წლამდე. იმიტომ, რომ ერთად იხდიდნენ სასჯელს თავისი მსოფლმხედველობით და ცხოვრების წესით ჩამოყალიბებული გამოცდილი კრიმინალი და ახალბედა, რომელსაც ერთი შეცდომა მოუვიდა, მაგრამ საპატიმროში არსებული გარემოცვა მის შემდგომ კრიმინალიზებას განაპირობებდა. იმიტომ, რომ კრიმინალური სამყაროსთვის მომგებიანია, რაც შეიძლება მეტი ადამიანი იყოს ამ ცხოვრების წესს ნაზიარები. ასე რომ, ციხეში მოხვედრილი ახალგაზრდიდან გამოსწორებაზე არ იყო ლაპარაკი, ეს იყო კრიმინალებისთვის ახალი კადრების შემატება,** — აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

მისი თქმით, გაყოფა, რაზეც საუბრობს კახი კახიშვილი, იძლევა საშუალებას, რომ არ იყოს ასეთი „აღმზრდელობითი“ კონტაქტი გამოცდილ და ახალბედა კრიმინალებს შორის. რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მნიშვნელოვან პროცესს — მასთან მუშაობით საზოგადოებამ დაიბრუნოს ახალბედა დანაშაულის ჩამდენი და გახადოს იგი საზოგადოების წევრი, უფრო მეტი პროცენტით, ვიდრე დღეს.

**— ფსიქოლოგია გვეუბნება ძველ ქართულ სიბრძნეს — „ხარი ხართან რომ დააბა, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო“ — შესაბამისად, კრიმინალის გვერდზე მოხვედრილი ახალგაზრდების კრიმინალიზება მოხდება. იმიტომ, რომ გამოცდილი კრიმინალი მისთვის ავტორიტეტი იქნება, იმოქმედებს ამ ფსიქოლოგიური ძალაუფლების გამოყენებით.**

**ინიციატივა, რომელიც მინისტრი კახიშვილის მხრიდან მოვისმინეთ, ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდების საზოგადოებაში დასაბრუნებლად. ეს ხელს შეუწყობს მათ საზოგადოებასთან ინტეგრირებას და კრიმინალის გავლენის შეამცირებს. ერთ-ერთი აუცილებელი ნაბიჯია, საშური და ამავე დროს საზრუნავი საქმეც არის,** — თქვა რამაზ საყვრელიძემ.

იურისტი **ირმა ჭკადუა** ამბობს, რომ სულ სხვა მოთხოვნები აქვს 14-დან 21 წლამდე ახალგაზრდებს, საპატიმრო დაწესებულებებში კი, წლების განმავლობაში მათ მიმართ არ იყო შესაბამისი და ადეკვატური დამოკიდებულება. არასრულწლოვნები, რომლებიც ქართულ ციხეში შედიოდნენ, პრაქტიკულად, იქიდან დამნაშავეები გამოდიოდნენ.

**— არ ხდებოდა მათი არათუ რესოციალიზაცია, არამედ გააზრებასაც ვერ ასწრებდნენ, ისე ყალიბდებოდნენ, როგორც კრიმინალები და, პრაქტიკულად, ეს ადამიანები უფრო ხშირად ბრუნდებოდნენ საპატიმრო დაწესებულებაში. გარდა ამისა, როდესაც ტერიტორიულადაც მოშორებული იქნებიან იმ დაწესებულებას, სადაც სასჯელს მძიმე კატეგორიის დამნაშავეები იხდიან, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება არასრულწოვნებისთვის. რაც ასევე მნიშვნელოვანია, მათთან მომსახურე პერსონალსაც ექნება შესაბამისი სწავლება გავლილი, როგორ უნდა მიუდგნენ არასრულწლოვნებს და სწავლის მიმართულებითაც იქნება გაცილებით ფართო არჩევანი, თუ რა უნდა გააკეთონ ამ ბავშვებმა. უმნიშვნელოვანესი პროექტია და ახლა მთავარია, რომ რაც შეიძლება ჩქარა დაიწყოს ამ პროექტმა ამოქმედება,** — აღნიშნა ირმა ჭკადუამ.

**თამთა ქარჩავა**

**მაღალი რისკის შემთხვევაში, პატიმრობა 90 დღიდან 60 დღემდე უნდა შემცირდეს, საშუალო რისკის შემთხვევაში კი, 60-დან 30 დღემდე.**

# ტრაპზონი ბათუმს სარკინიგზო მაგისტრალით დაუკავშირდება...



**თურქეთიდან ტვირთების ტრანსპორტირება ცენტრალურ აზიასა და კავკასიის რეგიონში, ტრაპზონი-ბათუმის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის შემდეგ გაიაფდება.**

**„ახალი სარკინიგზო ხაზი გაზრდის ტვირთბრუნვას და შეამცირებს ხარჯებს. შესაბამისად, ჩვენ ახალ ბაზრებზე შესვლა გაგვიმარტივდება“,** — განაცხადა ტრაპზონის სავაჭრო პალატის ხელმძღვანელმა სუათ ხაჯისალიოღლუმ. როგორც ხაჯი სალი ოღლუ მიიჩნევს, თურქეთმა აზიის ქვეყნებთან თანამშრომლობა კიდევ უფრო უნდა გააღრმაოს.

**„მიუხედავად იმისა, რომ ირანი, ავღანეთი, პაკისტანი, თურქულენოვანი ქვეყნები და რუსეთი თურქეთთან ახლოს მდებარეობენ, სავაჭრო ოპერაციებში მისი წილი მაინც მცირეა. სიტუაცია რეგიონალური სატრანსპორტო ქსელების განვითარების გზით უნდა შეიცვალოს“,** — განაცხადა მან.

# უკვე 180-ზე მეტი ადამიანი აპირებს მარიხუანის დარგვის აქციაში ჩართვას!..



„გირჩი“ საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს არ განხორციელდეს ზეწოლა იმ ადამიანებზე, ვინც ახალი წლის ღამეს პირდაპირ ეთერში მარიხუანას დათესავს. აქციაში, ზურა ჯაფარიძის თქმით, უკვე 800 მეტმა ადამიანმა გამოხატა მონაწილეობის სურვილი.

**„ამ მომენტისთვის „გირჩის“ დაგეგმილ აქციას უკვე შეუერთდა 800-მდე მოხალისე, აქედან 180-ზე მეტი აცხადებს სურვილს სრულფასოვნად ჩაერთოს აქციაში და ახალი წლის ღამეს ჩვენთან ერთად დათესოს მარიხუანა. მივმართავთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს და პარლამენტის თავმჯდომარეს — ყურადღება მიაქციონ სამართალდამცავ სტრუქტურებს, რომ ამ ადამიანებზე არ განხორციელდეს რაიმე სახის ზეწოლა. დღეს უკვე ცხადია, რომ ამ ტალღის შეჩერება არის შეუძლებელი. ჩვენ ვართ ამ ქვეყნის ათასობით მოქალაქე, გვსურს ვიცხოვროთ თავისუფალ ქვეყანაში, არ ვაყენებთ ზიანს არავის, არ ვაპირებთ არსად გადახვეწას და აღარ ვაპირებთ დამალვას. ამავე დროს, საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებში გადაგზავნილი გვაქვს საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი და ვაცხადებთ სრულ მზადყოფნას, დავიწყოთ კონსულტაციები როგორც პარლამენტთან, ისე მთავრობასთან, რომ ახალ წლამდე მოხდეს საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება და ერთხელ და სამუდამოდ დავემშვიდობოთ არქაულ და რეპრესიულ ნარკოპოლიტიკას“,** — განაცხადა ჯაფარიძემ.

# მთავარი პროკურატურა დახმარებას მეზობელი ქვეყნებიდან ელოდება

პოლიტიკოსების პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების გამოძიებაზე საქართველოს მთავარი პროკურატურა დახმარებას მეზობელი ქვეყნებიდან ელოდება, თუმცა რომელი ქვეყნებია ესენი, ჯერჯერობით არ სახელდება. განცხადება ამის თაობაზე ირაკლი შოთაძემ გააკეთა.

**„ამ ფაქტებზე ის პირები, ყოფილი საჯარო მოხელეები, ვინც უშუალოდ იყო ჩართული ამ კადრების შექმნა-დაგროვებაში, პასუხისგებაში არიან მიცემული და მიმდინარეობს საქმეების არსებითი განხილვა. რაც შეეხება ვიდეოკადრების ინტერნეტსივრცეში გავრცელების გამოძიებას, ეს გამოძიება გრძელდება...20-ზე მეტი სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობა გვაქვს გაგზავნილი არაერთ ქვეყანაში. თუ იმ ქვეყნებიდან ვერ მივიღებთ შესაბამის ინფორმაციას, ჩვენ არ გვაქვს უფლება, რომ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები ჩავატაროთ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. ეს ვიდეოკადრები ატვირთულია არა საქართველოდან, არამედ სხვა ქვეყნებიდან და ჩვენ ველოდებით სამართლებრივი შუამდგომლობების პასუხებს“,** — განაცხადა ირაკლი შოთაძემ ჟურნალისტებთან გაკეთებული კომენტარის დროს.



# მომაკვდინებელი სათამაშოები

## მაქსიმალურად მოარიდეთ ბავშვები მავნე ნივთიერებებით გაჟღენთილ სათამაშოებს!

**ქართველი ბავშვები მომწამვლელი სათამაშოებით თამაშობენ. ეს სამწუხარო ფაქტი უკვე ლაბორატორიული დასკვნითაც არის დადასტურებული. 10 შემოწმებული სათამაშოდან ცხრაში აღმოჩნდა დიდი ოდენობით მავნე ნივთიერება.**

**2016 წლის 31 ოქტომბერს „მომხმარებელი.გე"-მ თბილისის რამდენიმე მაღაზიაში 10 სხვადასხვა ტიპის თოჯინა შეიძინა და გერმანიაში, სათამაშოების უსაფრთხოების შემმოწმებელ აკრედიტებულ ლაბორატორიაში გააგზავნა, რომელსაც უსაფრთხოების რამდენიმე ქიმიური მახასიათებლის შემოწმება დაევალა. ლაბორატორიიდან მიღებული პასუხის მიხედვით, შემოწმებული სათამაშოებიდან ცხრაში აღმოჩნდა დიდი ოდენობით მავნე ნივთიერება დი-2-ეთილჰექსილფტალატი (DEHP), რომელიც ბავშვთა ჯანმრთელობისთვის საზიანოა.**



**„მომხმარებლებს განვუმარტავთ, რომ DEPH ნივთიერება პლატსმასის დამარბილებელია. იგი საკმაოდ ხშირად გამოიყენება ტექნიკური დანიშნულების რბილ პლასტმასებში, რეზინებში, საიზოლაციო მასალებში. სათამაშოებში მისი გამოყენება ევროკავშირში აკრძალულია (დაშვებული შემცველობაა არა უმეტეს 1 მგ/გ). საქართველოში ეს შეზღუდვა დაწესებული არ არის. მომხმარებლებს ვურჩევთ, მაქსიმალურად მოარიდონ ბავშვები იმ სათამაშოებს, რომელშიც მავნე ნივთიერება აღმოჩნდა.**

**ინფორმაცია სათამაშოებში აღმოჩენილი მავნე ნივთიერების შესახებ მიეწოდა როგორც შესაბამის მაღაზიებს, ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საბაჟო დეპარტამენტს. აგრეთვე მივმართეთ საქართველოს მთავრობას, პარლამენტს და სახალხო დამცველს, რათა მიიღონ ზომები მავნე ნივთიერებების შემცველი სათამაშოების საქართველოს ბაზარზე მოხვედრის აღსაკვეთად.**

**ქვეყანაში სათამაშოებთან დაკავშირებით არანაირი რეგულაცია არ მოქმედებს. არსებობს ზოგადად პროდუქციის კოდექსი, რომლითაც საფრთხის შემცველი პროდუქცია ბაზარზე არ უნდა განთავსდეს, მაგრამ იქვე მითითებულია, რომ მეწარმე ქვეყანაში მოქმედ ნორმებს უნდა დაემორჩილოს. შესაბამისად, თუ ქვეყანაში ნორმა დადგენილი არ არის, ეს ნივთიერება საფრთხის შემცველადაც არ ითვლება",** — ამბობს „მომხმარებელი. გე"-ს პროექტის ხელმძღვანელი **ლია თოდუა**.

მისივე ცნობით, შესაბამის მაღაზიებს უკვე მიმართეს, თუმცა მხოლოდ მათ კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, გააგრძელებენ თუ არა ამ სათამაშოების გაყიდვას.

მართალია, კონკრეტული მაღაზიების გამყიდველები ირწმუნებიან, თითქოს მათი სათამაშოები თურქეთიდან, რუსეთიდან, აშშ-დან, კანადიდან შემოდის და ევროკავშირის უსაფრთხოების აღმნიშვნელი ხარისხის სერტიფიკატიც აქვთ, მაგრამ საბოლოოდ მაინც მაღაზიების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, გააგრძელებენ თუ არა იაფფასიანი ჩინური სათამაშოების გაყიდვას. მით უფრო, რომ თურქეთიდან, რუსეთიდან, აშშ-დან, კანადიდან შემოტანილი სათამაშოების მიღმა დაწუნებული ჩინური პროდუქცია იმალება, რომლებიც სწორედ ზემოთ ჩამოთვლილმა ქვეყნებმა დაბრაკეს და არაკეთილსინდისიერმა იმპორტიორებმა საქართველოში შემოიტანეს.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაცია „ეტიკის" ხელმძღვანელი **ამირან შენგელია** For.ge-სთან საუბრისას ქართველი ბავშვების დაუცველობაზე ამახვილებს ყურადღებას. მისი თქმით, ბავშვების სათამაშოებზე არ უნდა გადადიოდეს საღებავი. თუკი ასე ხდება, ის უკვე იაფფასიანი სათამაშოა და ათასგვარ მძიმე მეტალის შემცველ კომპონენტს შეიცავს.

ამირან შენგელია აცხადებს, რომ, თუ სახლში გაქვთ ძველი, საბჭოთა კავშირის დროინდელი სათამაშო, შესაძლოა, ის შესახედავად ლამაზი არ იყოს, მაგრამ ეკოლოგიურად სუფთაა და ისეთ ნივთიერებას მაინც არ შეიცავს, რომელიც ბავშვისთვის მავნეა. დღევანდელი სათამაშოები კი შორიდან მტერს უბრმავებს თვალს, ახლოდან კი მავნეა. თანაც, პრობლემას ამძაფრებს ისიც, რომ ბავშვი უთუოდ პირში ჩაიდებს და დაღეჭავს სათამაშოს.

**„სათამაშოზე რა უნდა ვთქვათ, როცა მშობლები რატომღაც პლასტმასის თეფშებსა და ჭიქებს ყიდულობენ. ისინი ფიქრობენ, რომ პლასტმასი არ გატყდება. არადა, პლასტმასის ნივთებს ზოგჯერ ისეთი საღებავები აქვთ, რომლებიც ცხელთან შეხებისას გადადის. შესაძლოა, ცივ პროდუქტთან შეხებაში, წყლის დალევისას საღებავი არ გადავიდეს, მაგრამ ცხელ პროდუქტთან შეხებაში ის უკვე იშლება. სათამაშოები და პლასტმასის ჭურჭელი ზოგჯერ სხვა მავნე ნივთიერებას — მელანომას შეიცავს, რასაც ცისფერი და ლურჯი, ანუ მუქი ფერის საღებავების მისაღებად იყენებენ და ცხელ პროდუქტთან შეხებისას გადადის ეს ფერი. ერთი კონტაქტით ბავშვს შეიძლება არაფერი მოუვიდეს, მაგრამ მისი ორგანიზმი სუსტია და მომწამვლელი ნივთიერებები მის ჯანმრთელობაზე სამომავლოდ აისახება ისე, რომ ვერც გავიგებთ, რა ჭირს ჩვენს პატარას. ცხადია, თეფშს არ უნდა გასდიოდეს ფერი. სათამაშოები ფერს არ უნდა იცვლიდნენ. ჩვენთან არ არსებობს ნორმატიული დოკუმენტაცია, რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ნებისმიერი შემოტანილი პროდუქტი. გვარწმუნებენ, სათამაშო მავნე არ არისო და ჩვენც ვუჯერებთ. ჯერ კანონი არ არის მიღებული მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. ვინმეს რომ ვუჩივლოთ, რა მოვითხოვოთ? საამისო ბაზა არ არსებობს. გვიჩვენებენ რაღაც სერტიფიკატს, მაგრამ რისი დამადასტურებელი სერტიფიკატია? ჩვენთან სერტიფიკატების სისტემა გააუქმეს. რუსეთში სერტიფიკატი არის და მაინც სათამაშოების ბიზნესი ჩარჩოებში მოაქციეს. ჩვენებმა კი რუსული სერტიფიკატი გადათარგმნეს და წუნდებული პროდუქცია საქართველოში შემოიტანეს",** —აცხადებს ამირან შენგელია.

მისივე თქმით, ჩინელები კარგ რეკლამას აკეთებენ, ხარისხიანი სათამაშოების გამოფენებს აწყობენ, ამ სათამაშოების მიმსგავსებულ სათამაშოებს კი საქართველოში გზავნიან, რომელიც თუ არ მოწამლავს ბავშვს, რაღაც სიმახინჯეს უტოვებს. ექსპერტის განმარტებით, ამერიკაში, რუსეთსა და ევროპაში დაწუნებული სათამაშოები საქართველოში შემოაქვთ. თუმცა ჩვენს მთავრობას არა აქვს კანონი მიღებული სხვისი ნაგვის შემოტანაზე.

DEPH ე.წ. პლასტიფიკატორია, რომელსაც ელასტიურობისთვის იყენებენ. ის ტოქსიკურია და იწვევს ენდოკრინულ, კარდიოლოგიურ დაავადებებს, აზიანებს რეპროდუქციულ სისტემას, თირკმლებს, ღვიძლს. ასეთი სათამაშოები ევროპაში უკვე დიდი ხანია, არ იყიდება. როგორც ტოქსიკოლოგი **სოსო კუტუბიძე** ამბობს, ეს სათამაშოები შენელებული მოქმედების ბომბია.

**„სერიოზული დაავადებების თავიდან ასაცილებლად სახელმწიფომ ასეთი სათამაშოები სავაჭრო ქსელიდან უნდა ამოიღოს. ეს ნივთიერება მომენტალურ მოქმედებას არ ახდენს. პრობლემები ათი წლის შემდეგ შეიძლება გაჩნდეს და ადამიანი ვერც მიხვდება, საიდან და რატომ",** — ხაზი გაუსვა კუტუბიძემ.

DEHP-ს შემცველი სათამაშოები განსაკუთრებით იმ ბავშვებისთვის არის საშიში, რომლებიც თირკმლების ან ენდოკრინული პათოლოგიებით დაიბადნენ. ამ საკითხის შესწავლით პათოლოგიის პროფესიონალური ცენტრის ტოქსიკოლოგების ჯგუფი უნდა დაკავდეს და მთავრობასთან ერთად მიიღონ ზომები, რათა დაიცვან ბავშვები საშიში სათამაშოებისგან.

საქართველოში არ არსებობს უწყება, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებს სათამაშოების კონტროლზე. არ არსებობს ასევე კანონი, რომელიც დაარეგულირებს სათამაშოების უსაფრთხოებას. საქართველოს ჯერ კიდევ არ მოუყვანია შესაბამისობაში კანონმდებლობა ევროკავშირის დირექტივასთან სათამაშოების შესახებ, რომლის შესრულების ვალდებულება საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების პროცესის პარალელურად უნდა განხორციელდეს.

სტანდარტებისა და მეტროლოგიის სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის თანამშრომელი **სულხან ტაბაღუა** ამბობს, რომ საქართველოს ამ მიმართულებით შესრულების ვალდებულება აქვს 2019 წლის დასაწყისამდე, რის შემდეგაც რომელიმე მოქმედ ან ახლად შექმნილ უწყებას დაეკისრება სათამაშოების ბაზრის მონიტორინგის ფუნქცია.

**„სანქცია ამ მიმართულებით არ არის. ჯარიმები არის სურსათის მიმართულებით, რაც კანონმდებლობით და მთავრობის დადგენილებით არის განსაზღვრული. თუმცა, უსაფრთხოების მოთხოვნებსა და ადამიანის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა იმ მეწარმეს, რომელიც არაუსაფრთხო პროდუქციას განათავსებს ბაზარზე. ეს შესაბამისი მუხლებით რეგულირდება, შესაძლოა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა იყოს, შესაძლოა, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული",** — ამბობს სულხან ტაბაღუა.

მომხმარებელთა უფლების დამცველი **მადონა კოიძე** ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს" შესაბამისი კომპეტენცია გააჩნია, რომ ყველა კანონის დაცვით განახორციელოს კვლევა. ამდენად, სათამაშოებთან მიმართებით ჩატარებული მათი კვლევა ეჭვგარეშეა.

**„იმაზე კი არ უნდა ვაკეთებდეთ განცხადებას, რამდენად სახიფათოა ასეთი სათამაშოები ჩვენი ბავშვებისთვის, არამედ განგაშის ზარი უნდა შემოვკრათ და კონკრეტული ღონისძიებები გავატაროთ, რათა საქართველოს ბაზარო დავიცვათ უხარისხო, ფალსიფიცირებული და მავნე სათამაშოებისგან. საბჭოთა კავშირში ბევრად უფრო დაცული იყო ბავშვის ჯანმრთელობა. ძალიან ბევრი სტანდარტი არსებობდა არა მარტო სათამაშოებთან მიმართებით, არამედ მთლიანობაში მომავალ თაობაზე ზრუნავდა ქვეყანა. ასევე იქცევიან ევროკავშირის ქვეყნებიც. მაგალითად, საბჭოთა პერიოდში არსებობდა სტანდარტი სათამაშოებთან დაკავშირებით, თუ როგორი შემცველობის უნდა ყოფილიყო გარკვეულ ასაკობრივ ჯგუფზე მორგებული სათამაშო. ამასთან ერთად, არსებობდა სპეციალური სანიტარიული წესი, რომლის მიხედვითაც, განსაზღვრული იყო წიგნებში არსებული შრიფტი, რათა ბავშვისთვის მარტივად წასაკითხი ყოფილიყო და მხედველობის პრობლემები არ შექმნოდა, ასევე, სქოლიოზის ერთ-ერთი გამომწვევი არ გამხდარიყო. საღებავის შემცველობაც განსაზღვრული იყო წიგნებში, რათა მოსწავლე როცა ფურცლავდა წიგნს და ისველებდა თითს, მის ლორწოვან გარსში არ მოხვედრილიყო მძიმე მეტალები. დღესდღეობით არც ერთი ეს სტანდარტი არ მუშაობს. ყველა ეს საკითხი კონტროლისა და ზედამხედველობის გარეშეა დატოვებული",** — აცხადებს მადონა კოიძე, რომელსაც უჭირს იმის თქმა, რომელი ქვეყნიდან შემოდის მავნე სათამაშოები, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი ნებისმიერი ქვეყნიდან შეიძლება შემოვიდეს.

**საქართველოს ბაზარი ხომ უვარგისი პროდუქციის გასაღების ბაზრად გადაიქცა, სადაც ნებისმიერ არაკეთილსინდისიერ მეწარმეს შეუძლია ამა თუ იმ ქვეყანაში დაწუნებული საქონელი იაფად შეიძინოს და სრულიად უკონტროლოდ მარტივად გაყიდოს. ამ პროდუქციას კი ქართული მოსახლეობა საკუთარი შვილებისა და საკუთარი ჯანმრთელობის ხარჯზე ითვისებს.**

**მანანა ნოზაძე,**
**ბექა დანელია**

**27 ნოემბერს, კიევში გაიმართა მიხეილ სააკაშვილის ახალი, ამჯერად უკრაინული პოლიტიკური მოძრაობის პირველი მიტინგი, რომელიც ინტერნეტში გადაიცემოდა. მაქსიმუმ 2 000 ადამიანი დაესწრო. ეს სულაც არ არის ცოტა დღევანდელი სიტუაციის გათვალისწინებით, რაც ამ რევოლუციებითა და გაუთავებელი პოლიტიკური მარაზმით დაღლილ-დაქანცულ ქვეყანაში შეიქმნა.**

**სამაგიეროდ, მიშა კვლავინდებურად დაუღალავი და ენერგიულია. თუმცა, მისი გამოსვლა ამ მიტინგზე, თანაც, ძალიან კარგი რუსულით, ცოტა არ იყოს კომიკურ შთაბეჭდილებას მაინც ტოვებდა: ზუსტად ამავე ტექსტით, ზუსტად ამავე ნარატივით, აქცენტებითა და „მესიჯ-ბოქსით“ გამოდიოდა 13 წლის წინათ რუსთაველზე — პარლამენტის შენობის წინ; ახლა „კარგ რუსულ ენაზე“ ლაპარაკობს იმავეს კიევის ცენტრში და, როგორც ჩანს, „რამე რომ იყოს“, არც მოსკოვში, კრემლთან იტყოდა უარს იმავე „მესიჯ-ბოქსით“ გამოსვლაზე — იქ რევოლუციის მოსაწყობად.**



# მაოხარი გზირის აჩრდილი

## უკრაინა გაგვებუტა

* * *

ამასობაში კი, სანამ ჩვენი მოუქანცავი პროფესიონალი რევოლუციონერი ჩე-გევ(მიშ)არა მორიგ „ტრენინგს“ ატარებს, უკრაინასა და საქართველოს შორის სერიოზული დიპლომატიური კონფლიქტი მომწიფდა. საქმე ისაა, რომ კიევი, უკვე თითქმის ორი წელია, არა და არ ნიშნავს ახალ ელჩს თბილისში. მაშასადამე, დღეს უკრაინის საელჩოს ხელმძღვანელობს და უკრაინის სახელმწიფოს საქართველოში წარმოადგენს არა სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი, არამედ მხოლოდ „მოვალეობის შემსრულებელი“: ვასილი ციბენკოს უფლებამოსილების ვადა დიდი ხანია, ამოიწურა, საქართველოდანაც გაემგზავრა, თუმცა მის ნაცვლად ახალი ელჩი არ დანიშნულა და ელჩის მოვალეობას გიორგი ნაზაროვი ასრულებს.

ზოგადად, დიპლომატიურ პრაქტიკაში არც თუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ ქვეყანას არა „სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი“, არამედ დესპანი ან „მოვალეობის შემსრულებელი“ წარმოადგენს. ოღონდ, ეს არ შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე კვირაზე, მაქსიმუმ 2-3 თვეზე მეტხანს; თუ მაინც გაგრძელდება უფრო დიდხანს, მით უმეტეს მთელი 2 წლის განმავლობაში, უკვე დიპლომატიურ ინციდენტთან გვაქვს საქმე: ქვეყანა, რომელიც ელჩს არ ნიშნავს, ამით გვეუბნება, რომ უკმაყოფილოა საქართველოს არამეგობრული პოზიციის გამო, ამიტომ გადაწყვიტა დაამდაბლოს ჩვენს ქვეყანაში დიპლომატიური წარმომადგენლობის დონე: თანაც ერთბაშად: საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩიდან — „მოვალეობის შემსრულებლამდე“.

* * *

**მცირე ხანს რომ გაგრძელებულიყო ამგვარი სიტუაცია, კიდევ შეიძლება გვეთქვა, რომ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჯერ ვერ შეარჩია სათანადო კანდიდატურა, ან რაღაც ბიუროკრატიული პროცედურების შესრულება ვერ მოესწრო, ან პარლამენტმა ვერ განიხილა, ან პრეზიდენტმა ვერ მოიცალა, მაგრამ „ორი წელი“ მეტისმეტად დიდი ვადაა.**

ერთი სიტყვით, უეჭველია: ელჩის არდანიშვნით პრეზიდენტი პოროშენკო გვეუბნება, რომ ნაწყენია საქართველოს ხელისუფლებაზე და ამიტომაც არ ნიშნავს სრულუფლებიან წარმომადგენელს ჩვენს ქვეყანაში.

* * *

**ეს დიპლომატიური მეთოდი მისთვის დამახასიათებელია: ამას წინათ რუსმა პრანკერებმა „დააგოიმეს“, — ვითომდაც ყირგიზეთის პრეზიდენტის სახელით ესაუბრნენ ტელეფონით და მერე ეს საუბარი სოციალურ ქსელში გამოუქვეყნეს.**

კითხვაზე „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში რჩები თუ გადიხარო“, პოროშენკო ასე პასუხობს: „ჯერჯერობით დიპლომატიური წარმომადგენლობის დონე დავამდაბლეო“.

არ დაგვავიწყდეს, პოროშენკო წლების განმავლობაში უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო და ამ ტექნოლოგიებს კარგად იცნობს

ამავდროულად, მას არ აწყობდა ღია სკანდალი მოეწყო — საქართველოდან ელჩი ხმაურით გაეწვია და ა.შ. თუმცა, თავისთავად, ელჩის ამდენ ხანს „არდანიშვნა“ დიპლომატიურ ენაზე მაინც ტლანქი „შემოლაწუნებაა“ და ვინც საჭიროა, ყველა შეამჩნევს, ხოლო პრესამ ან ფართო საზოგადოებამ შენიშნა თუ ვერა, მესამეხარისხოვანი საკითხია.

ბუნებრივად ისმის კითხვა: რატომ, რა გახდა მიზეზი, რით შეიძლება იყოს უკმაყოფილო უკრაინის პრეზიდენტი? პასუხი იოლად მისაგნებია: პირველ რიგში იმით, რომ საქართველოს ხელმძღვანელებმა რამდენჯერმე უარყვეს მისი მოწვევა, ჩასულიყვნენ კიევში ოფიციალური ან სამუშაო ვიზიტით. არც უკრაინის მაღალი რანგის ოფიციალური პირები მოუწვევიათ „აქეთ“. ოღონდ, ამას თავისი მიზეზები ჰქონდა; პირველ რიგში, იმავე სააკაშვილის ფაქტორი!

როდესაც ყოფილი პრეზიდენტის ექსტრადირებაზე უარი მიიღო, ღარიბაშვილის ან კვირიკაშვილის მთავრობას ამაზე კიდევ შეეძლო თვალი დაეხუჭა და რაიმე განსაკუთრებით ხმამაღალი განცხადებაც არ გაუკეთებია, მაგრამ როცა სხვა ქვეყნის მაღალჩინოსანი (ოდესის გუბერნატორი) და პრეზიდენტთან დაახლოებული პირი ღიად მოუწოდებდა ამ ხელისუფლების დამხობისკენ, აშკარად ერეოდა საშინაო საქმეებში, მიმართავდა ოპოზიციურ მიტინგებს, გეგმავდა ანტისამთავრობო აქციებს და ა.შ. — მაშინ კი უსაყვედურეს რამდენჯერმე იმავე ციბენკოს თუ მის ადგილმონაცვლეს თბილისში.

როგორც ჩანს, პოროშენკო ამანაც გააღიზიანა; თუმცა პარადოქსული სიტუაცია იქმნება: სააკაშვილის აქტიურობის გამო ელჩი საქართველოს რომ გამოეწვია კიევიდან და თბილისს მიეღო გადაწყვეტილება დიპლომატიური წარმომადგენლობის „დამდაბლების“ შესახებ, ეს უფრო ბუნებრივი და ლოგიკური იქნებოდა, თუმცა პირიქით მოხდა.

ალბათ, იმიტომ, რომ რაოდენ მძიმე მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს უკრაინა, მაინც სხვა წონითი კატეგორიის ქვეყანაა — პატარა საქართველოსთან შედარებით.

* * *

**და რაც ყველაზე უარესია, აშკარად ცდება თუ ვინმეს ჰგონია, სააკაშვილის გადადგომითა და პოროშენკოსთან ოპოზიციაში გადასვლით საქართველო-უკრაინის ურთიერთობებში უკეთესობისკენ სწრაფად რაიმე შეიცვლება.**

იმიტომ, რომ დიპლომატიური კონფლიქტის აღმოფხვრა, ზოგადად, ძალიან ძნელი საქმეა: პოროშენკო ასე იოლად ვერ დაიხევს უკან და არავის ათქმევინებს, რომ მისი წინა გადაწყვეტილებები პირადი მოტივებით (ვთქვათ სააკაშვილთან მეგობრობით) იყო განპირობებული.

მან უკვე გადაიყვანა ეს დიპლომატიური კაზუსი სახელმწიფოთშორის რანგში და „სახის დაუკარგავად“ უკან დახევას ასევე იოლად ვერ მოახერხებს, ანუ აუცილებლად მოითხოვს, ჯერ საქართველოს ხელისუფლებამ გადადგას რაიმე მკვეთრი და რეზონანსული ნაბიჯი შერიგებისკენ.

მაგრამ საქართველოს ხომ ელჩი არ გამოუწვევია კიევიდან? გამოდის, იგულისხმება რაიმე აქცია რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო ასპარეზზე — საერთაშორისო ორგანიზაციებში და ა.შ. თუმცა კვირიკაშვილის მთავრობას მოსკოვთან „რბილი დიალოგის“ კურსი აქვს არჩეული და ამ კურსიდან არ გადაუხვევს.

„შერიგების“ თემა თითქოს შეიძლება, გამხდარიყო სააკაშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა და საქართველოში ექსტრადირება, რაზეც პოროშენკოს ზოგიერთი თანაპარტიელი ალაპარაკდა. თუმცა ჯერ ერთი, უკრაინის ხელისუფლება მოქალაქეობის ჩამორთმევის პრეცედენტს ვერ დაუშვებს, რადგან კანონის უხეში დარღვევა იქნება; გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლებას, სინამდვილეში, სულაც არ აწყობს სააკაშვილის ექსტრადირება, რადგან ნამდვილად არ იციან, მერე რა უყონ.

**გელა კალანდაძე**



## დნეპრის მერი სააკაშვილს უპირისპირდება

**მერი ოდესის ყოფილი გუბერნატორის ექსტრადიციას მოითხოვს. ბორის ფილატოვის მწვავე რეაქცია მიხეილ სააკაშვილის მიერ კიევში საპროტესტო აქციაზე გაკეთებულ განცხადებას მოჰყვა.**

ექსგუბერნატორმა განაცხადა, რომ დეცენტრალიზაცია უკრაინაში კორუფციას კიდევ უფრო გაზრდის. ფილატოვის თქმით, თუ სააკაშვილს ასეთი პოზიცია აქვს, თავადაც ჩაეწერება მათ რიცხვში, ვინც სააკაშვილის ექსტრადირების მომხრეა. დნეპრის მერი სააკაშვილისთვის ნარკოტესტის ჩატარებასაც მოითხოვს.

## გვარამიას ეშმაკი არ ასვენებს

**სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“ უზენაეს სასამართლოში მიმდინარე დავის ზეპირ განხილვას ითხოვს.** ამის შესახებ ტელევიზიის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ სპეციალურ ბრიფინგზე გააკეთა განცხადება. მისივე განცხადებით, იქიდან გამომდინარე, რომ საქმეზე არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, „რუსთავი-2“ ითხოვს სასამართლო პროცესის აუდიო-ვიდეოგადაღებას და მის ტრანსლირებას. ნიკა გვარამიას განცხადებით, კომპანიისთვის ასევე მნიშვნელოვანია იცოდეს, ვინ არის დიდი პალატის შემადგენლობაში — ჩვენ არ ვენდობით დიდი პალატის ყველა მოსამართლეს, გვაქვს აცილება, როგორც მინიმუმ 4 აცილება: 1. ნინო გვენეტაძე 2. მიხეილ ჩინჩალაძე, 3. მზია თოდუა, 4. პაატა სილაგაძე, — აცხადებს გვარამია და იმ მიზეზებს ასახელებს, თუ რატომ ითხოვს აღნიშნული მოსამართლეებიც აცილებას.

გუშინვე გვარამიამ პროკურატურის მიმართ არსებულ მოთხოვნაზეც ისაუბრა:

**„ჩვენ მივმართავთ მთავარ პროკურატურას განცხადებით და ვითხოვთ ჩვენს საქმეზე ქიბარ ხალვაშის მიერ წარმოდგენილი ყალბი დოკუმენტაციის შესწავლას დანაშაულის გამოვლენის მიზნით, პასუხისგებაში მიცემას იმ ადამიანის, ვინც ეს დოკუმენტაცია შეადგინა, ეს არის ვითომ „რუსთავი-2“-ის ყოფილი ფინანსური დირექტორი, რომელიც არ ყოფილა არასდროს ფინანსური დირექტორი რევაზ ბერიაშვილი, რომელმაც შექმნა ყალბი დოკუმენტი და ასევე სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტი, რომელსაც ყალბი დასკვნა აქვს ამ საქმეზე გაკეთებული“,** — განაცხადა ნიკა გვარამიამ



# ვინ რა მისწერა დონალდ ტრამპს კავკასიიდან?!

## „LE JOURNAL INTERNATIONAL“ (საფრანგეთი): როგორ აისახება სამხრეთ კავკასიაზე ტრამპის გაპრეზიდენტება და უნდა ჰქონდეს თუ არა საქართველოს ვაშინგტონის სამომავლო მხარდაჭერის იმედი?

**გავლენიანი ფრანგული გამოცემა „Le Journal International“ ამერიკის ახალი პრეზიდენტის ადმინისტრაციის სამომავლო საქმიანობაზე, უფრო ზუსტად კი, თუ როგორ აისახება მისი მოღვაწეობა სამხრეთ კავკასიაზე, მიმომხილველ მაქსანს სმანიოტოს სტატიას აქვეყნებს.**

**აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ამერიკელი მაგნატის დონალდ ტრამპის გამარჯვება ყველასათვის სიურპრიზი გახდა. იზოლაციონიზმისაკენ გადახრის მიუხედავად, ამერიკის ახალი ლიდერი იძულებული იქნება საერთაშორისო პოლიტიკის საკვანძო საკითხებით იყოს დაკავებული, მათ შორის სამხრეთ კავკასიითაც.**

**არჩევნების წინ მთელი სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტის მზერა ჰილარი კლინტონისკენ იყო მიპყრობილი, რომლის პოლიტიკური პროგრამა პროგნოზირებადი იყო — პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ჰილარი კლინტონი, ეჭვგარეშეა, თავისი წინამორბედების პოლიტიკას გააგრძელებდა. იგი შეეცდებოდა რუსეთის გავლენის შეჩერებას პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის კავკასიაშიც.**

ამასთანავე, აქვე შევნიშნავთ, რომ ორივე ქვეყნისათვის ეკონომიკური ინტერესები ადამიანის უფლებებზე მაღლა დგას. ბაქო-ვაშინგტონის ეკონომიკური ინტერესების „სიმბოლოა“ ოლიგარქი ანარ მამადოვი, რომელსაც მჭიდრო კავშირები აქვს ამერიკაში მოქმედ აზერბაიჯანულ ლობთან.

### მოძრაობა იზოლაციონიზმისკენ

აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში მთელი მსოფლიო ჰილარი კლინტონის გამარჯვებას ელოდა, ანუ უფრო მეტ ინტერვენციონიზმს აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში. დონალდს ტრამპს კი, როგორც ჩანს, საკმაოდ ბუნდოვნად აქვს წარმოდგენილი საერთაშორისო პოლიტიკა და უფრო მეტ უპირატესობას საშინაო საქმეების მოგვარებას ანიჭებს. მაგალითად, მან განაცხადა, რომ სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი ხელისუფლებაში უნდა დარჩესო და ლიბიის ლიდერისთვის, პოლკოვნიკ მუამარ კადაფისთვისაც ხელი არ უნდა გვეხლოო. აშშ-ის ახალ პრეზიდენტს განზრახული აქვს ჩუნოს, ანუ გიორგი მარგველაშვილის აზრით, კარგი იქნება, თუ ვაშინგტონ-თბილისის დიპლომატიაში ცვლილებები არ მოხდება.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის წერილში აქცენტი გადატანილია ამერიკის შუამავალ როლზე მინსკის ჯგუფში. ილჰამ ალიევმა ხელიდან არ გაუშვა შანსი იმისა, რომ აშშ-ის ახალი ლიდერისათვის გაეხსენებინა — აზერბაიჯანის ტერიტორიის 20%-ს სომეხი სეპარატისტების კონტროლქვეშ იმყოფებაო. ბაქო იმედოვნებს, რომ აშშ მხარს დაუჭერს მის ტერიტორიულ მოთხოვნებს.

სომხეთის პრეზიდენტის სერჟ სარგსიანის წერილის შინაარსი უფრო ბუნდოვანია: იგი მიესალმება დონალდ ტრამპის „გამოცდილებას“ ორი ქვეყნის ურთიერთობის საკითხში. ერევნის პოზიციის განსაკუთრებულობა, ალბათ, აშშ-ში სომხური დიასპორის მრავალრიცხოვნობითა და გავლენითაა განპირობებული. სომხური დიასპორა ორ ქვეყანას შორის დამაკავშირებელ ხიდად ითვლება და ის უმეტესად მხარს ჰილარი კლინტონს უჭერდა. საქმე იმაშია, რომ სომხურ დიასპორას იმედი ჰქონდა — ჰილარი კლინტონი თურქეთზე გავლენას მოახდენს, იქნებ ანკარამ გენოციდი აღიაროსო, მაგრამ ეს აუხდენელი ოცნებებია, რადგან ვაშინგტონისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო და არის თურქეთთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნება. ამასთან, თუ ამერიკა რუსეთთან ურთიერთობას გააუმჯობესებს, ერევანი ამით მხოლოდ მოიგებს.



### აშშ-ის ურთიერთობა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან:

სამხრეთ კავკასიაში აშშ-ის ყოფნის განმტკიცება, ალბათ, ყველაზე მეტად საქართველოს მიმართ უნდა გამოჩნდეს. პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით ვაშინგტონს ამ ქვეყანაზე დიდი ფსონი აქვს დადებული, 2004 წელს აშშ-მა მხარი დაუჭირა „ვარდების რევოლუციას“, რომლის შედეგად ქვეყნის ხელისუფლებაში პროდასავლური პრეზიდენტი მოვიდა. სწორედ საგარეოპოლიტიკური ორიენტირების შეცვლა გახდა რუსეთთან ომის მიზეზი 2008 წლის აგვისტოში. ომი თბილისის დამარცხებით დასრულდა, რასაც მოსკოვის მიერ აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება მოჰყვა.

აშშ-სა და რუსეთის დუელი სამხრეთ კავკასიის ორი სხვა სახელმწიფოსაც — სომხეთსა და აზერბაიჯანსაც ეხება. სომხეთი მოსკოვის მთავარი მოკავშირეა რეგიონში. აზერბაიჯანი კი შედარებით უფრო დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ატარებს. ბაქო აქტიურად ყიდულობს იარაღს რუსეთისაგან, მაგრამ უარს აცხადებს ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანებაზე, რომელშიც სომხეთი 2015 წლის ორი იანვრიდანაა შესული. აზერბაიჯანს გაფორმებული აქვს მნიშვნელოვანი ფინანსური შეთანხმება ევროკავშირთან, რომელსაც კასპიის ენერგორესურსებს აწვდის ნავთობსადენ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ მეშვეობით. მილსადენის აქციონერები არიან ევროპული ფირმები „ტოტალი“, „ენი“ და „ბრიტიშ პეტროლეუმი“. მასში წილი აქვთ აგრეთვე ამერიკულ კომპანიებსაც — „შევრონს“, „კონაკო ფილიპსს“ და „ამერადას“, თუმცა, ამის მიუხედავად, აზერბაიჯან-აშშ-ის ურთიერთობა ხშირად საკმაოდ იძაბება ხოლმე: ბაქო ვაშინგტონს ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევასა და დესტაბილიზების მცდელობაში ადანაშაულებს — „ფერადი რევოლუციის“ მეშვეობით, როგორც ეს ჯერ საქართველოსა და შემდეგ უკრაინაში განახორციელა.

რუსეთთან მოლაპარაკება და ნატოს როლისა და ბიუჯეტის გადასინჯვა. დონალდ ტრამპი არაპროგნოზირებადია და, როგორც ჩანს, „თამაშის წესებს“ არ დაიცავს. მისი მოქმედების ამგვარი „თავისუფალი“ სტილი სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის გაურკვევლობის ფაქტორი ხდება.

უკეთესად რომ დავინახოთ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პრეზიდენტთა დაბნეულობა, უპრიანი იქნება ჯერ იმ წერილებს გავეცნოთ, რომლითაც მათ დონალდ ტრამპს პრეზიდენტად არჩევა მიულოცეს. მილოცვების შინაარსი საკმაოდ ბევრის მთქმელია საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პრიორიტეტებზე ამერიკასთან ურთიერთობებში.

### წერილები დონალდ ტრამპს კავკასიიდან. ვის რა აწუხებს?

საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის წერილში მთავარი მომენტი ისაა, რომ ამერიკამ თბილისს მხარი დაუჭიროს როგორც რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაში, ასევე ნატოში გაწევრიანების საკითხში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს თხოვნას, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს მიმართ მჭიდრო ურთიერთობის პოლიტიკა შეინარ-

### დონალდ ტრამპმა კავკასიის შესახებ რაღაც-რაღაცები იცის...

უახლოეს პერსპექტივაში აშშ-ის პოლიტიკა კავკასიის რეგიონში არ შეიცვლება, მაგრამ ის გარემოება, რომ რეგიონი დონალდ ტრამპის საგარეოპოლიტიკურ პრიორიტეტებში არ შედის, უფრო შორეული მომავლისთვის სხვადასხვა სცენარებს ბადებს.

იცნობს თუ არა დონალდ ტრამპი კავკასიას? დიახ, მეტ-ნაკლებად იცნობს. თავის ბიზნესგეგმებში იგი განიხილავდა მდიდრული სასტუმროების მშენებლობის შესაძლებლობებს საქართველოსა და აზერბაიჯანში. მართალია, არცერთი პროექტი არ განხორციელებულა, მაგრამ ასე იყო თუ ისე, სწორედ მათი მეშვეობით გაეცნო მილიარდერის ოჯახი რეგიონის ეკონომიკურ და სტრატეგიულ საკითხებს. რაც შეეხება სომხეთს, ამ რესურსებით ღარიბი ქვეყნით, რომლის ეკონომიკას სახელისუფლო ელიტაში მყოფი კორუფციონერები ხრავენ, როგორც ჩანს, ნიუიორკელი მაგნატი მაინდამაინც არ დაინტერესებულა.

აშკარაა, რომ დონალდ ტრამპი მსჯელობს არა როგორც პოლიტიკოსი, არამედ როგორც ინვესტორი, რაც მისი ბიზნესმენისა და მილიარდერის სტატუსით შეიძლება აიხსნას, მაგრამ სწორედ ეს განაპირობებს არაპროგნოზირებად გეოსტრატეგიას იმ მსოფლიო „დერჟავისა“, რომლის პრეზიდენტი იგი გახდა.

**მაქსანს სმანიოტო.**

**მოგვაწოდა „ნიუსპრესმა“.**

## ფიდელ კასტროს ჩრდილოეთ კორეაში გლოვობენ



**კუბის რევოლუციის ლიდერის გარდაცვალების გამო ჩრდილოეთ კორეაში სამდღიანი გლოვა გამოცხადდა.** 30 ნოემბრამდე ფხენიანსა და ქვეყნის დიდ ქალაქებში სახელმწიფო დროშები იქნება დაშვებული. ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კუბის საელჩოში სამგლოვიარო თაიგული მიიტანა, მანამდე კი სახელმწიფო ტელევიზიით კიმ ჩენ ინის სპეციალური მიმართვა გავრცელდა, რომლითაც მან კასტროების ოჯახსა და კუბელ ხალხს „დიდი ლიდერის“ გარდაცვალება მიუსამძიმრა.

## ვინ დაუპირისპირდება ლე პენს?



**რესპუბლიკელთა პრაიმერიზში ფრანსუა ფიიონი ლიდერობს.** შიდაპარტიული არჩევნების მეორე ტურში მან ხმათა 69,5 პროცენტი დააგროვა, ალენ ჟუპეს კი ხმათა 30,5 პროცენტი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფიიონი მემარჯვენე ცენტრისტთა საპრეზიდენტო კანდიდატი გახდა. საპრეზიდენტო არჩევნებში ის ნაციონალისტთა ლიდერს მარინ ლე პენს დაუპირისპირდება.

## ევროინტეგრაციის შეჩერებას ითხოვს



**ევროკავშირში ევროპული ქვეყნების ინტეგრაციის პროცესი დროებით უნდა შეჩერდეს. ამის შესახებ გერმანიის პრეზიდენტმა იოაჰიმ გაუკმა გამოცემა „ველტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.**

„როდესაც ევროკავშირს ვქმნიდით, შევიმუშავეთ კონცეფცია, რომელზეც თაობები ვერც იოცნებებდნენ, მაგრამ გაერთიანების პროცესი ძალიან დავაჩქარეთ. ალბათ, დროა პაუზა ავიღოთ და ჩვენს მომავალ მიზნებსა და სტრატეგიაზე ვიმსჯელოთ,“ — აღნიშნა გაუკმა.

## ლუფტჰანზა კვლავ პარალიზებულია

**ლუფტჰანზას პილოტები გაფიცვას გააგრძელებენ.** გადაწყვეტილება პროფკავშირებმა მას შემდეგ მიიღო, რაც კომპანიის ხელმძღვანელობასთან მიმდინარე მოლაპარაკება ჩიხში შევიდა. პილოტები ხელფასის გაზრდას 3,6 პროცენტით ითხოვენ, რაზეც ავიაკომპანიის ხელმძღვანელობა უარს ამბობს. გასულ კვირას გაფიცვის გამო 2800-მდე რეისი გადაიდო, რამაც 350 ათასზე მეტი მგზავრი დააზარალა.

## ნემცოვი რუსეთის მტერი იყო

**რამზან კადიროვს რუსეთის ოპოზიცია შემოელანძღა. ოპოზიციის ლიდერებს მათ უსირცხვილო ყბედები უწოდა. მისივე თქმით, ოპოზიცია რუსეთს 30 ვერცხლად ყიდის. „დრო მოვა, მათ ხალხი მაწანწალა ძაღლებივით გააგდებს. მათ ნათესავებიც კი ზურგს აქცევენ. ხალხის მტერი იყო ბორის ნემცოვიც, რომელთანაც პირადი მტრობა არ მქონია, მაგრამ ის რუსეთს ყიდდა,“**-აღნიშნა კადიროვმა.

## 102

***ნათლის მხედრისთვის ცნობილია: როცა შენ რამე გინდა, ცამყარის მთელი ძალები თითქოს პირსა კრავდნენ შენს დასახმარებლად.***

და ამის გამო ის ძალიან ფრთხილია თავისი აზრების მიმართ. კეთილ ზრახვებში ბევრი ისეთი გრძნობაა მიმალული, რომ ვერც კი წარმოიდგენ, თუ აქ ჩაბუდებულია შურისგება, თვითგანადგურების ლტოლვა, დანაშაული, გამარჯვების შიში, სხვისი უბედურებით გამოწვეული ბნელი სიხარული.

ცამყარი მთლად ვერ ერკვევა ასეთ თითქოსდა წვრილმანებში და, ის კი არა, ხელსაც გვიმართავს. ამიტომ არის, რომ ნათლის მხედარი ვაჟკაცურად იქცევა და საკუთარი სულის უძირო წყდიადში ჩაიბრუნებს ხოლმე თვალებს, რათა დარწმუნდეს, რომ თავისი თავის დამღუპველი აზრი რამ ხომ არ შეჰპარვია.

და ის მუდამ ფრთხილია თავისი აზრების მიმართ.

## 103

***ნათლის მხედარს ახსოვს იესოს სიტყვები:***

არამედ იყოს თქვენი სიტყვა: „ჰო“ ჰო! „არა“ არა! რაც ამაზე მეტია, ის ბოროტისგანაა! როცა ნათლის მხედარი პასუხისმგებლობას კისრულობს, ის სიტყვას არ ტეხს.

ისინი, ვინც პირობას იძლევა, მაგრამ არ ასრულებს დანაპირებს, კარგავენ თავიანთი თავის პატივისცემას და თავიანთივე საქციელისა ერცხვინებათ.

ამ ადამიანთა მთელი ცხოვრება მუდმივ მიდმოროობაშია, სულ გაქცევ-გამოქცევაში არიან: ისინი გაცილებით მეტ ძალას ხარჯავენ თავიანთ მიერ ადრე წარმოთქმულ სიტყვათა უარყოფის მიზნით ათასგვარი საბაბსუბაბის საძიებლად, ვიდრე ნათლის მხედარი თავისი დანაპირების შესასრულებლად.

ხან ისეც ხდება, რომ თვითონ მხედარიც უგუნურ რასმე ვალდებულებას კისრულობს და ცრურწმენას მონად ექცევა ხოლმე. საკვლაოდ ის არცროდის ასეთ ნაბიჯს აღარ გადადგამს, მაგრამ დაპირებულის შესრულებას მაინც თავს არ აარიდებს – იგი სიტყვის კაცია. პირუმტკიცობას სხვისას ვერ იტანს, არამცთუ თავისას, და სრულად იხდის ანგარიშმიუცემლად აღთქმულს.

## 104

***ბრძოლამოგებული ნათლის მხედარი გამარჯვებას ზეიმობს.***

ის ბრძოლა იოლი არ ყოფილა, ძვირი დაუჯდა – საშინელი წუთები გამოიარა, არაერთი მტანჯველი ღამე დაათენდა თეთრად. დაუსრულებელი მოლოდინის დღეები აერია. ადაპაპის დროიდან მოკიდებული გამარჯვების აღნიშვნის ჩვეულება თვითონ ცხოვრებისეულ რიტუალად იქცა და განსაკუთრებული ზარ-ზეიმი ახლდა.

ფრიად მოლხენილი და მოზეიმე ნათლის მხედრის ამხანაგები გაოცებულნი იყვნენ: „აგრე უზომოდ რამ გაახარა ეს მამაპაპაცხონებული. რა იცი, მომავალ ბრძოლაში იქნებ სულ კუდით ქვა ასროლინონ. ყოველთვის ვის გაუმარჯვნია!“

მაგრამ ნათლის მხედარმა იცის, რატომაც მისცემია აგრერიგად ზღვარგადასულ ლხინს. თავისი გულდაჯერებულობით უნდა, რომ სრულად დატკბეს, რამეთუ ეს ყოვლის უფრო ძვირფასი ჯილდოა, რომელიც გამარჯვებას მოაქვს.

დღეს იგი გუშინდელ მტრის ძლევას ზეიმობს და ამჟამინდელ ტრიუმფში ხვალინდელი ბრძოლებისთვის იკრებს ძალებს.

## 105

***ნათლის მხედარი სხვათ იმას უზიარებს, რაც თავისთვის ცნობილია გზის თაობაზე.***

სხვას ვინც ეხმარება, იმას სხვისგან დახმარების იმედი უნდა ჰქონდეს. იმან, ვისაც ასწავლეს, ახლა თვითონ სხვას უნდა ასწავლოს.



ამიტომაც უყვება ნათლის მხედარი კოცონთან შემორიგებულთ, როგორ ჩაიარა იმისმა საბრძოლო დღემ.

„რატომ ამხელ შენს სტრატეგიულ მუღამს“ – ეჩურჩულება მეგობარი. – ნუთუ არ გესმის, რამხელა რისკს ეწევი – ვერ ხვდები, რომ შენი ყოველი გამარჯვების სხვებთან გაყოფა მოგიხდება?“

ამის პასუხად ნათლის მხედარს მხოლოდ ეღიმება სიტყვის დაუძვრელად.

მან იცის, რომ, უკეთუ სამოთხე, რომელსაც ის გზის ბოლოს მოიხვეჭს, ცარიელი და უხალხო იქნება, ბრძოლას არავითარი აზრი არა ჰქონია.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №212-221




**პორტუგალიური ტექსტი დედნის ბწკარედის მიხედვით გადმოაქნა ზურამ გოგიაშვილმა**

## 106

***ნათლის მხედარი თხოვნას არ ელოდება, ისე გასცემს, ამის შემყურე ზოგ-ზოგი იმისი ამხანაგი შენიშნავს: „ვისაც ეჭირვება რამე, თვითონ ითხოვს“.***

ნათლის მხედარმა იცის, რომ ამქვეყნად ბევრია ადამიანი, რომელთაც არ შეუძლიათ – თუგინდ დაიხოცნენ, არ შეუძლიათ შეწევნის თხოვნა. მხედრის გვერდით ცხოვრობენ ისეთი მტკივნეული გულის ადამიანები, რომ სიყვარულიც კი, რომელიც ეწვევათ ხოლმე, ძლივს ითქვამს სულს. ამ ადამიანებს, ალერსი შიათ, მოფერება სანატრელად აქვთ, მაგრამ ერცხვინებათ ამის გამხელა.

ნათლის მხედარი იმათ კოცონის გარშემო დასხამს ხოლმე და ათას რამ შემთხვევას უყვება, თუ რამ კბილის გასაღვიძებელი მოეპოვება, ძმურად უნაწილებს, ხან შეზარხოშებლითაც უმასპინძლდება და მეორე დღეს ყველანი თავს უკეთ გრძნობენ.

ვინც სხვისი უბედობის მიმართ გულცივია, ის ყველაზე უბედური სიკვდილისშვილია.

## 107

***ერთ მშვენიერ დღეს ნათლის მხედარი უეცრად ხვდება, რომ წინანდელი შემართებით არ იბრძვის.***

ის იმასვე განაგრძობს, რასაც ადრე შვრებოდა, მაგრამ ეჩვენება, რომ ყოველმა მოძრაობამ დაკარგა აზრი. ასეთ დროს ერთი რამღა დარჩენია – კვლავინდებურად ეწეოდეს **სამართლიან ბრძოლას.** მნიშვნელობა არა აქვს, რა მიზეზით ასრულებს თავის შესასრულებელ საჭიროებას – მოვალეობის გრძნობის თუ შიშის ანდა კიდევ სხვა რისამე გამო. მთავარია,რომ ის თავისი გზიდან არ გადადის.

მან იცის, რომ ანგელოზი, რომელიც შემართებას შთააგონებდა, გაეცალა, მაგრამ იგი მთელ თავის ძალებს მიმართავს ბრძოლას, ის მაშინაც კი შეუპოვრობს, როცა ყველაფერი ამაო ეჩვენება. გამოხდება მცირე რამ ხანი და ანგელოზი კვლავ მობრუნდება, და იმისი ფრთის მარტოოდენ ერთი გაშრიალებაც კი საკმარისი აღმოჩნდება, რომ მეომრის სულში კვლავ სიხარულმა დაისადგუროს.

## 108

***ნათლის მხედარმა დიდი ხნის წინათ შეიცნო, რომ ღმერთი მარტოობას გვიგზავნის, რათა ადამიანს საერთო ცხოვრების წესი ასწავლოს.***

ღმერთი რისხვას იყენებს, რათა გვიჩვენოს მშვიდობის განუსაზღვრელი ფასეულობა, ხოლო დარდსა და მოწყენილობას – რათა უფრო მკაფიო გახადოს რისკის და თავდავიწყების მნიშვნელობა.

ღმერთი მდუმარებას მიმართავს, რათა შთაგვაგონოს, რა ბუნებრივი შეიძლება რომ იყოს თითოეული სიტყვა.

დაღლილობას – რათა ცხადად ვიგრძნოთ მხნეობის მთელი ხიბლი. სნეულებას – რათა სრულად შევიგონოთ მადლი ჯანმრთელობისა.

ცეცხლის წყალობით ღმერთი წარმოდგენას გვიქმნის წყალზე. მიწის წყალობით გვასწავლის, რა არის ჰაერი. სიკვდილით კი ღმერთი გვიჩვენებს, რაოდენ მნიშვნელოვანი რამ არის სიცოცხლე.

## 109



*ბოლოს და ბოლოს სიმები, თუკი მუდმივად და მაგრად დაჭიმულია, არასწორ, მცდარ ბგერებს გამოსცემენ.*

საბრძოლო ხელოვნებაში გამუდმებით მოვარჯიშე მეომრები ბრძოლაში მყისიერი გადაწყვეტილებების მიღებისა და შესრულების უნარს კარგავენ. ცხენი, რომელიც ყოველდღე ბარიერის გადალახვით არის დაკავებული, ერთხელაც ფეხს მოიტეხს. მშვილდი, რომლის ლამბიც ერთი წამითაც არ დუნდება, ისარს ადრინდელი ძალით ვერ სტყორცნის მიზანს.

ამიტომაც არის, რომ ნათლის მხედარი, თუნდაც ასეთნაირადაც არ იყოს განწყობილი, ყოველდღიურობის წვრილმანებში ცდილობს სულის მოთქმას.

## 110

***ნათლის მხედარი ყოველთვის ყურს უგდებს ლაოძის, რომელიც გვასწავლის, რომ „დღეებისა“ და „საათების“ ცნებებს კი არ უნდა მივდიო, არამედ თვალგამჭრიახად უნდა ჩავუკვირდეთ სუყოველ წუთს.***

მხოლოდ ასე შეუძლია ნათლის მხედარს, რომ გადაჭრას ზოგიერთი პრობლემა მანამდე, სანამ ის თავს იჩენდეს: მხოლოდ წვრილმანების მიმართ დაძაბული ყურადღების გამოჩენით შეძლებს იგი თავზარდამცემი ამბებისთვის თავის არიდებას.

ოღონდ წვრილმანზე ფიქრი სულაც არ ნიშნავს, რომ შენც პატარა და წვრილმანი კაცი ხარ. მეტისმეტ ფიქრიანობას ძალუძს ცხოვრებიდან სიხარულის უკნინესი გაელვებაც კი განდევნოს.

ნათლის მხედარმა, იცის, რომ დიდი ოცნება შედგება უამრავი სხვადასხვა რამისგან – როგორც რომ მზის შუქი უთვალავი სხივისგან.

## 111

***ისეთი წუთებიც გამოერევა ხოლმე, რომ გზა, რომელსაც ნათლის მხედარია ადევნებული, ჩვეულებრივი და ერთფეროვანი, მოსაწყენი ხდება.***

ასეთ დროს მხედარს ნახმან ბრაცლავსკის შეგონება შველის:

„მედიტაცირების ძალა თუ არ შეგწევს, უბრალო რამ აიღე და ის იმეორე, რამეთუ სულს არგებს, იმეორე ის ერთი სიტყვა, იმეორე და იმეორე, არ გაჩერდე, სათვალავი დაივიწყე. ბოლოს და ბოლოს ის თავის აზრს დაკარგავს და ახალ მნიშვნელობას შეიძენს. ღმერთი გაგიღებს კარს, და ამ ერთი უბრალო სიტყვის წყალობით ყველაფრის გამოთქმას შეძლებ, რაც გინდა“.

როცა ნათლის მხედარი იძულებული ხდება, რომ ერთი და იგივე დავალება მრავალჯერ შეასრულოს, ის ამ ხერხს იყენებს, და მოსაწყენი მოვალეობა ლოცვად გადაიქცევა ხოლმე.

## 112

***ნათლის მხედარი მთლად დარწმუნებული არ არის ყველაფრის „სისწორეში“, რასაც აკეთებს, მაგრამ არის გზა, რომელსაც უნდა მიჰყვეს, და ამ გზის შეგუებას წელიწადის დროისდა მიხედვით ცდილობს.***

ზაფხულობით ბროძლის ილეთებიც და აღჭურვილობაც ამ ბრძოლისთვის ისეთი არ არის, როგორც ზამთრობით. ნათლის მხედარი დაჯილდოებულია საჭირო მოქნილობით და ამიტომ დაზავებაზე მსჯელობს არა „სწორია“ და „არასწორია“-ს კატეგორიებით, არამედ, ყოველი იმჟამინდელი მომენტისთვის ყოვლის უფრო შესაფერისი დამოკიდებულების საფუძველზე.



ნათლის მხედარმა იცის, რომ იმისი ამხანაგებიც შექმნილ გარემოებას უნდა ეგუებოდნენ, და ამიტომ სულაც არ უკვირს, როცა იმათი დამოკიდებულებაც იცვლება. თითოეულ იმათგანს ის გარკვეულ დროს აძლევს, რაც აუცილებელია იმისთვის, რათა სუყველამ შეძლოს თავისი ნამოქმედარის გამართლება.

მაგრამ თუ ღალატსა და შეურიგებლობას გადააწყდა, ნათლის მხედარი დაუნდობელია.

(გაგრძელება იქნება)

**საკონსულტაციო მომსახურება (ენერგეტიკის სექტორი - მაღალი ძაბვის ქვესადგურები და ელექტროგადამცემი ხაზები)**

წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა: **2017 წლის 9 იანვარი (ადგილობრივი დროით 15:00 სთ)**

| | |
|---|---|
| **ქვეყანა** | **საქართველო** |
| **საიდენტიფიკაციო ნომერი:** | BMZ No. 2015 68 286 |
| **წინასაკვალიფიკაციო ეტაპი:** | მოწვევა ინტერესის გამოხატვაზე |
| **ტენდერის სახელწოდება:** | საერთაშორისო ღია ტენდერი „საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა II-ის“ საკონსულტაციო მომსახურებაზე |
| **პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია:** | სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე) |
| **დამფინანსებელი:** | საკონსულტაციო მომსახურება დაფინანსდება KfW განვითარების ბანკის საშუალებით. |
| **საპროექტო ღონისძიებები:** | სსე-მ შეიმუშავა „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა“, ტვირთების განაწილების ოპტიმიზაციის, გამტარუნარიანობის გაზრდის, ქსელში მიწოდების უზრუნველყოფის და ასაშენებელი ჰეს-ების მიერთების მიზნით.<br>საქართველომ, KfW განვითარების ბანკის საშუალებით, „გერმანიის ფინანსური თანამშრომლობისგან“ მიიღო დასტური „საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამის“ (ფაზა 2) ხარჯების დაფინანსებასთან დაკავშირებით. პროგრამის ეს ნაწილი მოიცავს შემდეგ სამ (3) ძირითად კომპონენტს:<br>1) a1) 500კვ ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზი (ეგხ) „წყალტუბო-ახალციხე“, სიგრძით დაახლოებით 160კმ, ქვესადგურის „ახალციხე“ 500კვ ფრთის გაფართოება 500კვ ეგხ-ს მიერთების მიზნით და;<br>ხ2) 400კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ახალციხე-ტორტუმი“, სიგრძით 30კმ საქართველოს ტერიტორიაზე საქართველო-თურქეთის საზღვრამდე, ქვესადგურის „ახალციხე“ 400კვ ფრთის გაფართოება 400კვ ეგხ-ს მიერთების მიზნით;<br>2) „გურიის ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის გაძლიერება“: ახალი 220/110კვ ქვესადგურის (ქ/ს) „ოზურგეთი“ მშენებლობა და არსებული 220კვ ელექტროგადამცემი ხაზის „პალიასტომი 1“ შეჭრა. ჩოხატაურში ახალი 110კვ ქვესადგურის და დაახლოებით 30კმ სიგრძის 110კვ ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა ამ ორ ქვესადგურს შორის ან, ალტერნატივის სახით, არსებული 110 კვ ეგხ-ის აღდგენა და ჩოხატაურში არსებული ქვესადგურის გაფართოება;<br>3) 220 კვ ქ/ს-ის „ლაჯანური“ მშენებლობა/გაფართოება.<br>პროგრამის ის ნაწილი, რომლის დაფინანსებაც დაგეგმილია EBRD-ის მიერ, მოიცავს მეოთხე კომპონენტს:<br>4) „ჩრდილოეთის რგოლი - წყალტუბო“, კომპონენტი c1:<br>4a) ახალი 220კვ ორჯაჭვა ეგხ-ის „ხუდონი-ნენსკრა“ (დაახლ. 7კმ) მშენებლობა, ახალი 220კვ ორჯაჭვა ეგხ-ის „ჯვარი-ხუდონი“ (დაახლ. 40კმ) მშენებლობა, 220/110კვ ქვესადგურის „ხუდონი“ მშენებლობა, ან 500/220/110კვ ქვესადგურის „ხუდონი“ მშენებლობა 500კვ ეგხ-ის „კავკასიონი“ შეჭრით;<br>4b) დაახლოებით 90კმ სიგრძის ორჯაჭვა 110კვ ან 220კვ ეგხ-ის „ხუდონი-მესტია“, 110/35კვ ან 220/110/35 კვ ქვესადგურის „მესტია“ მშენებლობა;<br>4c) დაახლოებით 24კმ სიგრძის 110კვ ორჯაჭვა ეგხ-ის „ხელედულა-ჯახუნდერი“ მშენებლობა; 110კვ ქ/ს-ის „ჯახუნდერი“ გაფართოება 110კვ ეგხ-ის მიერთების მიზნით;<br>ზემოთ ხსენებული კომპონენტების განსახორციელებლად, მოხდება მათი დაყოფა ოთხ (4) სხვადასხვა ლოტად:<br>ლოტი 1: 500კვ ეგხ „წყალტუბო-ახალციხე“; 400კვ ეგხ ახალციხიდან თურქეთის საზღვრამდე (ტორტუმის მიმართულებით); 110კვ ეგხ “ოზურგეთი-ჩოხატაური“ და 220კვ ეგხ-ის „პალიასტომი“ შეჭრა;<br>ლოტი 2: ქვესადგურის გაფართოება ახალციხეში (500 და 440კვ), ახალი 220/110კვ ქვესადგური „ოზურგეთი“, ახალი 110კვ ქვესადგურის „ჩოხატაური“ მშენებლობა ან არსებული ქვესადგურის გაფართოება და 220კვ ქვესადგურის „ლაჯანური“ მშენებლობა/გაფართოება;<br>ლოტი 3: 500კვ ეგხ-ის “კავკასიონი“ შეჭრა ან 220კვ ეგხ „ჯვარი-ხუდონი“, 220კვ ეგხ „ხუდონი-ნენსკრა“, 110კვ (ან 220 კვ) ეგხ „ხუდონი-მესტია“, 110 კვ ეგხ „ხელედულა-ჯახუნდერი“;<br>ლოტი 4: 500/220/110კვ ან 220/110კვ ქვესადგური „ხუდონი“, 110/35კვ ან 220/110/35კვ ქვესადგური „მესტია“, ქვესადგურის „ჯახუნდერი“ გაფართოება“.<br>კონსულტანტებმა უნდა მოამზადონ ცალკე სატენდერო წინადადებები KfW-ს მიერ დასაფინანსებელი ნაწილისთვის (რომელიც მოიცავს ლოტებს: 1) და 2) ან/და EBRD-ის მიერ დასაფინანსებელი ნაწილისთვის (რომელიც მოიცავს ლოტებს: 3) და 4). კონსულტანტებს შეუძლიათ, წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები პროგრამის მხოლოდ KfW-ს მიერ დასაფინანსებელი ნაწილისთვის ან მხოლოდ EBRD-ის მიერ დასაფინანსებელი ნაწილისთვის, ან ორივესთვის. აღნიშნულის მიზანია ყველა პროექტის პარალელურ რეჟიმში განხორციელების უზრუნველყოფა. |
| **მოთხოვნილი საკონსულტაციო მომსახურება:** | გასაწევი საკონსულტაციო მომსახურება იყოფა ორ ცალკეულ ფაზად. A ფაზა მოიცავს სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებას და საქონლისა და მომსახურების შესყიდვაში დახმარებას. პროექტის B ფაზა მოიცავს პროექტის მართვას და ზედამხედველობას პროექტირების, მშენებლობის და კონტრაქტების განხორციელების ეტაპებზე, ასევე ზედამხედველობას ზემოთ ხსენებული კომპონენტების ფარგლებში საპროექტო ობიექტების ექსპლუატაციაში გაშვებაზე.<br>საკონსულტაციო მომსახურების მიზანია პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციისთვის (სსე) საინჟინრო, დიზაინის და პროექტის მართვის მომსახურებების გაწევა, პროექტის დროული განხორციელების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული მოიცავს პროექტის კონცეფციის, ხარჯთაღრიცხვის და განხორციელების გრაფიკის განხილვას; კონტრაქტორის შესარჩევი საერთაშორისო ტენდერისთვის სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებას; ტენდერის შეფასების ანგარიშის მომზადებას, საკონტრაქტო მოლაპარაკებების წარმოებასა და პროექტის მართვაში დახმარებას, მათ შორის, სამუშაოებზე/ექსპლუატაციაში გაშვებაზე ზედამხედველობას.<br>ზემოთ ხსენებული პროექტების ექსპლუატაციაში გაშვება იგეგმება 2019/2020 წლებში. საკონსულტაციო მომსახურების ხანგრძლივობა ჯამში, სავარაუდოდ, შეადგენს დაახლ. 42 თვეს (≈ 12 თვე A ფაზისთვის, პლუს ≈ 30 თვე B ფაზისთვის). |
| | კონსულტანტის სამუშაოს მოცულობა მოიცავს ორ ფაზას (A&B), რომლებიც იყოფა ქვემოთ წარმოდგენილ ეტაპებად. შესასრულებელ სამუშაოებში შედის შემდეგი (მაგრამ არ მხოლოდ შემდეგი) ღონისძიებები:<br>**ფაზა A**<br><u>ეტაპი A1: კონცეფციის განხილვა:</u> ძირითადი სამუშაოებისთვის საბაზისო დიზაინის მომზადება, ყველა სამუშაოსთან დაკავშირებით მიწოდება-მონტაჟის კონტრაქტების (დიზაინის, მოწყობილობების მოწოდების და მშენებლობის კონტრაქტების) გასაფორმებლად სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება; ტენდერების გამოცხადება, ტენდერში მონაწილეთათვის განმარტებების მიცემა.<br><u>ეტაპი A2: საერთაშორისო კონკურენტული ტენდერები:</u> სსე-სთვის დახმარების გაწევა პროექტების ფარგლებში დიზაინის, მოწყობილობების მოწოდების და მშენებლობის განმახორციელებელი კონტრაქტორების შესარჩევად, ლოტებისთვის 1) და 2) - „პარტნიორ ქვეყნებთან ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში საქონლის, სამუშაოების და შესაბამისი მომსახურებების შესყიდვის შესახებ KfW-ს რეგულაციების შესაბამისად, ხოლო და დანარჩენი ლოტებისთვის - EBRD-ის მოწყობილობების მიწოდებისა და მონტაჟის შესახებ სტანდარტული დოკუმენტების მიხედვით.<br>**<u>ფაზა B</u>**<br><u>ეტაპიB1: კონტრაქტის/პროექტის მართვა და განხორციელების ზედამხედველობა:</u> სსე-სთვის დახმარების გაწევა პროექტების მართვის ყველა ასპექტში; საუკეთესო პრაქტიკის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საბოლოო დიზაინის მომზადდების, ასევე, ყველა სამუშაოს კონტრაქტებით განსაზღვრული ხარისხისა და გრაფიკის დაცვით განხორციელების უზრუნველყოფა.<br><u>ეტაპიB2: ექსპლუატაციაში გაშვება:</u> პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციისთვის დახმარება, რათა უზრუნველყოფილი იქნას ახალი მიერთებების და მოწყობილობების ექსპლუატაციაში გაშვება საუკეთესო პრაქტიკისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.<br>საკონსულტაციო მომსახურების წინა საკვალიფიკაციო ეტაპი განხორციელდება „პარტნიორ ქვეყნებთან ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში კონსულტანტების შერჩევის სახელმძღვანელო პრინციპების“ (Guidelines for Assignment of Consultants in Financial Cooperation with Partner Countries) ბოლო გამოცემის მიხედვით. (ეწვიეთ KfW განვითარების ბანკის ვებ-გვერდს <u>www.kfw-entwicklungsbank.de</u>). საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად შეირჩევა დამოუკიდებელი საკონსულტაციო კომპანია(ები), რომელსაც გააჩნია მაღალი ძაბვის სექტორსა (მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები და ქვესადგურები) და რეგიონში დიზაინის, მართვისა და საერთაშორისო შესყიდვებში მუშაობის, პროექტის მართვასა და მშენებლობაზე და ექსპლუატაციაში გაშვებაზე ზედამხედველობის დადასტურებული გამოცდილება. იმ კონსულტანტის ან კონსულტანტების გაერთიანების/ კონსორციუმის მინიმალური წლიური ბრუნვა, რომლებიც წინადადებებს წარმოადგენენ ლოტებისთვის 1) და 2), საშუალო წლიური ბრუნვა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10.0 მილიონ ევროს ბოლო 3 წლის განმავლობაში, მაშინ როცა წამყვანი კონსულტანტის მინიმალური წლიური ბრუნვა კონსულტანტების გაერთიანების/ კონსორციუმის შემთხვევაში უნდა აღემატებოდეს 8.0 მილიონ ევროს ბოლოს 3 წლის განმავლობაში; ხოლო იმ კონსულტანტის ან კონსულტანტების გაერთიანების/კონსორციუმის მინიმალური წლიური ბრუნვა, რომლებიც წინადადებებს წარმოადგენენ ლოტებისთვის 3) და 4), საშუალო წლიური ბრუნვა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 8.0 მილიონ ევროს ბოლოს 3 წლის განმავლობაში, მაშინ როცა წამყვანი კონსულტანტის მინიმალური წლიური ბრუნვა კონსულტანტების გაერთიანების/ კონსორციუმის შემთხვევაში უნდა აღემატებოდეს 6.0 მილიონ ევროს ბოლო 3 წლის განმავლობაში.<br>დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სსე-ს და სატენდერო სააგენტოს მხრიდან, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე: |
| **სსე:** | ქ-ნ მაია ფიცხელაური<br>სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“<br>საქართველო, თბილისი 0105,<br>ბარათაშვილის ქუჩა No.2<br>ტელ.: +995 322 510 263<br>ფაქსი: +995 577 22 00 11<br>ელ.ფოსტა: <u>maya.pitskhelauri@gse.com.ge</u> |
| **ტენდერის განმახორციელებელი სააგენტო:** | INTERBUSINESS Consulting & Services GmbH<br>Att. Dieter Budecker<br>Zur Burg 13,<br>61273 Wehrheim / Germany<br>Phone: +49 (0) 6081-9857-501<br>Fax: +49 (0) 6081-9857-503<br>E-Mail: mail@ibusinesscs.de<br><br>განცხადების ინგლისურ და ქართულ ვერსიებს შორის განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ვერსიას. |

**Consulting Services (Energy Sector –HV Substations and Transmission Lines)**

**Deadline: 09 January 2017 (15:00 local time in Georgia)**

| | |
|---|---|
| **Country** | **Georgia** |
| **Reference-No.:** | BMZ No. 2015 68 286 |
| **Prequalification:** | Invitation for Expression of Interest |
| **Ref.:** | International open tender for "Open Programme Extension of the Transmission Network II" |
| **Project Executing Agency:** | Georgian State Electrosystem JSC ("GSE"). |
| **Financing:** | The Consulting Services are to be financed through KfW Development Bank. |
| **Project measures:** | GSE has developed a Ten Year Network Development Plan for Georgia in order to optimize the load flows, increase the transfer capacity, improve the reliability of supply of the transmission grid and to be able to connect the new HPP's to be constructed.<br>Georgia has received commitment of the German Financial Cooperation through KfW Development Bank toward the funding for the cost of the Open Program Extension Transmission Network Georgia (Phase 2), covering the following three main components:<br>1) a1) 500kV double Circuit overhead transmission line (OHL) Tskaltubo - Akhaltsikhe with a length of approx. 160 km, extension of 500 kV switchgear of substation Akhaltsikhe for connection of the 500 kV overhead line and;<br>a2) 400 kV overhead transmission line Akhaltsikhe - Tortum: length 30 km in Georgia to Georgian - Turkish border, extension of 400 kV switchyard of substation Akhaltsikhe for connection of the 400 kV overhead line;<br>2) Reinforcement of Transmission Infrastructure of Guria: Construction of the new 220/110kV substation (SS) Ozurgeti, link in of the existing 220 kV Paliastomi 1 overhead transmission line. Construction of a new 110 kV substation at Chokhatauri and of approx. 30 km double circuit 110 kV overhead transmission line between these two substations or alternatively refurbishment of the existing 110 kV OHL and extension of the existing substation at Chokhatauri.<br>3) Construction/Extension of 220kV SS Lajanuri.<br>The part of the program for which a financing by EBRD is foreseen comprises the fourth component:<br>4) North Ring Tskaltubo, component c1:<br>4a) Construction of a new double-circuit 220 kV OHL Khudoni - Nenskra HPP (approx. 7 km), construction of a new double-circuit 220 kV OHL Jvari–Khudoni (approx. 40 km) with 220/110kV substation Khudoni or 500/220/110 kV substation Khudoni with 500 kV OHL Kavkasioni tie-in;<br>4b) Construction of approx. 90 km double-circuit 110 kV or 220kV OHL Khudoni – Mestia, 110/35 kV or 220/110/35 kV substation Mestia;<br>4c) Construction of approx. 24 km double circuit 110 kV OHL Kheledula – Jakhunderi, extension of 110 kV substation Jakhunderi for connection of the 110 kV OHL;<br>For implementation, the above components will be split into four (4) different lots as follows:<br>Lot 1: 500 kV OHL Tskaltubo - Akhaltsikhe; 400 kV OHL Akhaltsikhe to Turkish Border (in Direction of Tortum), 110 kV OHL Ozurgeti-Chokhatauri and 220 kV link in from Paliastomi Line; |
| | Lot 2: substation extension in Akhaltsikhe (500 and 400 kV), new 220/110 kV substation Ozurgeti, construction of new or extension of existing 110 kV substation Chokhatauri and new construction/extension of 220 kV substation Lajanuri;<br>Lot 3: 500 kV tie-in of OHL Kavkasioni or 220 kV OHL Jvari-Khudoni, 220 kV OHL Khudoni-Nenskra, 110 kV (or 220 kV) OHL Khudoni – Mestia, 110 kV OHL Kheledula – Jakhunderi;<br>Lot 4: 500/220/110 kV or 220/110 kV substation Khudoni, 110/35 kV or 220/110/35 kV substation Mestia, extension of substation Jakhunderi.<br>Consultants shall prepare separate bids for KfW financed part (including Lot 1 and Lot 2) and/or for EBRD financed part (including Lot 3 and Lot 4). The consultants are allowed to bid only for KfW financed part or for EBRD financed part, or for both parts. This is in order to guarantee the parallel implementation of all projects. |
| **Requested Consulting services:** | The consulting services to be rendered are split into two separate phases. Phase A comprises the preparation of tender documentation and the assistance for procurement of goods and services. Phase B consists of the project management and supervision of design, construction and contracts execution and the supervision of commissioning of the project facilities for the above mentioned components.<br>The objective of the Consultant's assignment is to provide expertise of engineering, design and project management services to the project executing agency (PEA) to ensure timely implementation of the project. This will include review of the project concept, cost estimates and schedule; preparation of tender documents for international competitive tendering to select turnkey contractor for the works; preparation of tender analysis reports; assistance at contract negotiations and in the management of the project, including works/ commissioning supervision.<br>It is foreseen that the above projects shall be commissioned in 2019/2020. The duration of the Consultants' assignments will be in total tentatively approx. 42 months (~12 months for phase A plus ~30 months for phase B). The consultant's scope of work will comprise two phases (A & B), divided into steps as defined below. The activities shall include (but not limited to):<br>**Phase A**<br>Step A1: Concept Review: preparation of basic design for main works, preparation of tender documents for supply and installation contracts (Plant and Design-Build Contracts) for all works; tender announcements and clarification to the tenderers.<br>Step A2: International Competitive Tenders: assist the PEA in selecting Plant, Design and Build contractors for the projects through international competitive tendering following KfW guidelines for the Procurement of Goods, Works and associated Services in Financial Cooperation with Partner Countries for Lot1 and Lot2 and EBRD's standard templates for Supply and Installation of Plant and Equipment.<br>**Phase B**<br>Step B1: Contract/Project Management and Implementation Supervision: assist the PEA in all aspects of the management of the projects and ensuring that the final designs are prepared according to best practices and international standards, all works are carried out in accordance with the contracts in terms of quality and schedule.<br>Step B2: Commissioning: assist the project executing agency in ensuring that the new connections and equipment are put into operation in accordance with best practice and Georgian regulations.<br>This prequalification for consulting services will be guided by the latest version of the "Guidelines for the Assignment of Consultants in Financial Cooperation with Partner Countries" (refer to the homepage of KfW Development Bank www.kfw-entwicklungsbank.de). It is foreseen to assign the services to independent |
| | consultant firm(s) with proven experience in design, management of international procurement, project management & supervision of construction and commissioning in the High Voltage Sector (HV Transmission Lines and HV substations) and in the region. The minimum annual turnover of the consultant or consultant JV/Consortium applying for Lot 1 and Lot 2 showing an average annual turnover of more than EUR 10.0 million over the last three years, whereas the average annual turnover of the lead consultant in case of a JV/Consortium must exceed EUR 8.0 million over the last three years and of the consultant or consultant JV/Consortium applying for Lot 3 and Lot 4 showing an average annual turnover of more than EUR 8.0 million over the last three years, whereas the average annual turnover of the lead consultant in case of a JV/Consortium must exceed EUR 6.0 million over the last three years.<br>Further information will be made available upon request by GSE and the Tender Agent (TA) under the following addresses: |
| **GSE:** | Georgian State Electrosystem JSC<br>Att. PEA / Ms. Maya Pitskhelauri<br>2, Baratashvili str., Tbilisi 0105, Georgia<br>Office: +995 322 510 263<br>Mob.: +995 577 22 00 11<br>E-Mail: maya.pitskhelauri@gse.com.ge |
| **Tender Agent:** | INTERBUSINESS Consulting & Services GmbH<br>Att. Dieter Budecker<br>Zur Burg 13,<br>61273 Wehrheim / Germany<br>Phone: +49 (0) 6081-9857-501<br>Fax: +49 (0) 6081-9857-503<br>E-Mail: mail@ibusinesscs.de |

# Invitation for Bids

**Georgia**

## Agriculture Modernization, Market Access and Resilience (AMMAR) Project

IFAD Loan #: 2000000778; IFAD Grant 2000000248;
GEF Grant #: 2000000827

**Contract Title: Equipment and instruments for in vitro reproduction of Perennial Crops**

**Reference No.: AMMAR/G/2016/61**

1. Georgia has received financing from the **International Fund for Agricultural Development (IFAD)** toward the cost of the **Agriculture Modernization, Market Access and Resilience (AMMAR) Project**, and intends to apply part of the proceeds toward payments under the contract for **Equipment and instruments for in vitro reproduction of Perennial Crops, Reference No.: AMMAR/G/2016/61.**

2. The **Agriculture Modernization, Market Access and Resilience (AMMAR) Project** now invites sealed bids from eligible bidders for **Equipment and instruments for in vitro reproduction of Perennial Crops, Reference No.: AMMAR/G/2016/61.**

3. Bidding will be conducted through the National Competitive Bidding procedures as specified in *IFAD Procurement Handbook (issued on 19th of August, 2010)* ("Procurement Guidelines" September 2010), and is open to all eligible bidders as defined in the Procurement Guidelines. In addition, please refer to paragraph 5 - Codes of conduct and conflicts of interest of the *IFAD Procurement Handbook* setting forth the IFAD's policy on conflict of interest.

4. Interested eligible bidders may obtain further information from Ministry of Agriculture of Georgia, Marshal Gelovani Str. #6, room 309, Tbilisi, 0159, Georgia, Tel/Fax: +995 (32) 237-80-38, e-mail: Lali.Durmishidze@moa.gov.ge and inspect the bidding documents during office hours *11:00 -17:00 local time* at the address given above.

5. Qualifications requirements include:

(i) Financial Capability - The Bidder shall furnish documentary evidence that it is in a sound financial status and submit balance sheets and income statements for the *past 3 (three) years*.

(ii) Experience and Technical Capacity - The Bidder shall furnish documentary evidence that it has completed supplies under *1 (one)* or more contracts for similar nature of goods during past *5 (five)* years. Reference from beneficiaries on successful completion of contracts are mandatory.

(iii) In the case of a bidder offering to supply goods under the Contract is not manufacturer or otherwise producer, The Bidder shall submit in the Bid the ***Manufacturer's Authorization Letter*** according to the Manufacturer's Authorization Form specified in the Bidding Documents (Section IV, Bidding Forms).

(iv) The Bidder shall submit the ***Certificated of Quality.***

6. A complete set of bidding documents in English may be received by interested eligible bidders upon the submission of a written application to the e-mail the address below.

7. Bids must be delivered to the address below on or before **December 08, 2016 12:00 local time.** Electronic bidding will not be permitted. Late bids will be rejected. Bids will be publicly opened in the presence of the bidders' designated representatives and anyone who choose to attend at the address below on before **December 08, 2016 12:00 local time.**

8. All bids must be accompanied by a **Bid Security of 5,500 (Five Thousand Five Hundred) Georgian Lari.** The bids that do not include Bid Security will be rejected.

9. The address referred to above is:
Ministry of Agriculture of Georgia,
Marshal Gelovani Str. #6, room 309,
Tbilisi, 0159, Georgia,
Tel/Fax: +995 (32) 237-80-17,
E-mail: Nana.Kupunia@moa.gov.ge

## რაგბი

### მამუკა გორგოძე:
# ასეთი ანგარიშით წაგება არ გვეკადრება

**შოტლანდია-საქართველო 43:16**

**შოტლანდია:** ჰოგი, მეითლენდი (ჰიუზი 53), ბენეთი (ჰორნი 63), დანბარი, სემური, რასელი, ლეიდლოუ(პრაისი 73). (1-8) დელი (ალენი 56), ფორდი (ბრაუნი 53), ფეიგერსონი (ლოუ 73), რ. გრეი, ჯ. გრეი (გილქრისთი 73), ჰარლი (ბარქლეი 48), უოთსონი, უილსონი. მთავარი მწვრთნელი ვერნ კოტერი.

**საქართველო:** კვირიკაშვილი (ბეგაძე 73), აფციაური (წიკლაური 73), შარიქაძე, მჭედლიძე, თოდუა, მალაღურაძე, ლობჟანიძე (1-8) ნარიაშვილი (ასიეშვილი 49), ბრეგვაძე (ალხაზაშვილი 49), ჩილაჩავა (ქუბრიაშვილი 49), მიქაუტაძე, ნემსაძე (სუთიაშვილი 62), კოლელიშვილი (თხილაიშვილი 46), 7. გორგოძე, ბიწაძე (ლომიძე 52). მთავარი მწვრთნელი მილტონ ჰეიგი.

**მსაჯი:** მეთიუ ქარლი (ინგლისი).



საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ნოემბრის ტესტების ბოლო მატჩი შოტლანდიაში გამართა. მე-4 წუთზე ქართველების მოლიდან გადმოვარდნილი ბურთი ვასილ ლობჟანიძემ აიტაცა და მეტოქის ლელომდე ისე ირბინა, ხელი ვერავინ შეუშალა. ამგვარ დასაწყისს, ცხადია, მასპინძლები არ ელოდნენ, თუმცა, ისინი მალევე გამოფხიზლდნენ და მატჩის სადავეები ხელთ იგდეს. პირველი ტაიმი 20 ქულის უპირატესობით მოგვიგეს — 31:11.

შესვენების შემდეგ „ბორჯღალოსნებმა“ ბევრად უკეთესად ითამაშეს, მაგრამ დიდი ანგარიშით მარცხს მაინც ვერ გადაურჩნენ — 16:43.

**„პირველი ტაიმი გულდასაწყვეტი გამოდგა, რის შემდეგაც მოგება-წაგებაზე ფიქრი ზედმეტი იყო და უბრალოდ უნდა გვენახვებინა, რა შეგვეძლო. სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა გვებრძოლა და ჩვენ ეს ნამდვილად მოვახერხეთ. ვაღიარებ, პირველი 40 წუთი წაგებულის პოზიციიდან ვთამაშობდით და მეტოქეს თავად მივეცით ქულების ადვილად მოპოვების შესაძლებლობა. შოტლანდია ძლიერი, გამოცდილი გუნდია და მისი ძალის შეფასებისას არ შევმცდარვართ“,** — განაცხადა მატჩის შემდეგ მილტონ ჰეიგმა.

**მამუკა გორგოძე,** საქართველოს ნაკრების კაპიტანი: „დღეს ჩვენ აშკარად გვაჯობეს. ასეთი ანგარიშით წაგება არ გვეკადრება, თუმცა, ამ წაგებიდანაც უნდა ვისწავლოთ და ამ მხრივ ეს თამაში ნამდვილად ფასეული იყო“.

გასულ უქმეებზე სხვა სატესტო მატჩებიც გაიმართა: სამოა — კანადა 25:23, იტალია — ტონგა 17:19, ფიჯი — იაპონია 38:25, ინგლისი — არგენტინა 27:14, ირლანდია — ავსტრალია 27:24, უელსი — სამხრეთი აფრიკა 27:13, საფრანგეთი — ახალი ზელანდია 19:24, რუმინეთი — ურუგვაი 36:10.

**ლექსო ცინცაძე**

## ვაი 21-ე საუკუნეს

# პედოფილების ფეხბურთი ჩვენ არ გვჭირდება

**„ბლექპული“, „მანჩესტერ სიტი“, „სტოკ სიტი“, „ლიდს იუნაიტედი“ და „ნიუკასლ იუნაიტედი“ — ეს ის კლუბებია, სადაც, ჭაბუკთა გუნდებში, თურმე, პედოფილია მძვინვარებდა. აღნიშნულ სკანდალურ ინფორმაციას ბი-ბი-სი ავრცელებს და მწვრთნელ ბარ ბენელის სახით შეგირდებთან კოტრიალის ერთ-ერთი მოტრფიალის ვინაობასაც გვიმხელს.**



ნისლიან ალბიონზე რომ ერთნაირსქესიანთა მტლაშა-მტლუში დიდ პატივშია, არაერთი მაგალითი მოწმობს — სამაგალითოდ თუნდაც ანგლიკანური ეკლესიის წიაღში განვითარებული ვნებიანი მოვლენები გამოდგება, მაგრამ ნეტავ მხოლოდ ბრიტანეთის კუნძულებზე გვიწევდეს ანალოგიურ კონტექსტში საუბარი.

*ყველამ საკუთარ მრუშ მამიდას მიხედოს, ჩვენ კი ის გვადარდებს, ქართული სპორტის წარმომადგენლებიც ხომ არ უხდიან ხარკს ულტრალიბერალური XXI საუკუნის „პროგრესულ მოთხოვნებს“? მე თქვენ გეტყვით და წამხედურობაში ვინმეს ჩამოვრჩებით.*

**გიორგი შოთაძე**

## ჩოგბურთი

# ვერცხლის სასალათე – ვერცხლის ქვეყანაში

**ის, რაც ვერ შეძლეს გილიერმო ვილასისა და დავიდ ნალბანდიანის თაობებმა, ხუან მარტინ დელ პოტრომ და კომპანიამ განახორციელეს — მეხუთე ცდიდან არგენტინის ეროვნულმა ნაკრებმა პირველად მოიპოვა დევისის თასი.**

ზაგრებში ხორვატებთან გამართულ ფინალურ შეხვედრაში სამხრეთამერიკელები უფსკრულის პირას იყვნენ, როცა წყვილთა პაექრობის წაგების შემდეგ ბალკანელები 2:1 დაწინაურდნენ, მათმა ლიდერმა მარინ ჩილიჩმა კი ზედიზედ ორი პარტია მოუგო დელ პოტროს.

კრიტიკულ ვითარებაში რიოს შარშანდელი ოლიმპიადის ფინალისტს მეორე სუნთქვა გაეხსნა, ხოლო გადამწყვეტი ქულა სტუმრებს მარტინ დელ ბონისმა მოუტანა, რომელმაც უშანსოდ დაჯაბნა უბერებელი ივო კარლოვიჩი.

შეგახსენებთ, რომ მასპინძლები 2003 წელს უკვე ფლობდნენ ვერცხლის სასალათეს.



**ვიტალი ჯაფარიძე**

## ჭიდაობა

# ოლიმპს ვერ შესწვდნენ



კონსტანტინე ხაბალაშვილი

**ყაზახეთის ქალაქ ტარაზში გამართულ დინმუჰამედ კუნაევის სახელობის საერთაშორისო ტურნირში საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავე ხუთი ფალავანი ჩაება და მათგან სამმა მედალი დაიმსახურა. მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო და 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში მეორე ადგილზე გავიდა კონსტანტინე ხაბალაშვილი, ზურაბ ერბოწონაშვილსა (74 კგ) და დავით ხუციშვილს (86 კგ) კი ბრინჯაოს მედლები ერგოთ.**

* * *

ბაქოში დამთავრდა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა გრან-პრი, რომელშიც ქართველმა ფალავნებმა ორი მედალი მოიპოვეს — რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი შმაგი ბოლქვაძე (66 კგ) მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო ევროპის ჩემპიონმა ზურაბ დათუნაშვილმა (75 კგ) მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

ბოლქვაძემ ზედიზედ დაამარცხა ეგვიპტელი მოჰამედ ელსაიედ იბრაჰიმი (6:2), ყაზახი ნურთაი ნურგალიევი (2:0) და აზერბაიჯანელი როვშან თაგიევი (2:0), მაგრამ ფინალური პაექრობა რუს არტიომ სურკოვთან 1:4 დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა. დათუნაშვილმა პირველ-მეორე წრეში ირანელ მოჰამედალი გერაეის (წმინდად) და სამხრეთკორეელ იონ-გუი იუნის (6:3) აჯობა, ნახევარფინალი სერბ ვიქტორ ნემესთან წააგო (0:4), ხოლო ბრინჯაოსთვის გადამწყვეტ პაექრობაში აზერბაიჯანელი მეჰრაჯ ქერიმოვი დაჯაბნა.

**ლაშა დიდია**

## ძიუდო

# დებიუტი „ოქროთი“ აღნიშნა

**შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში დამთავრდა ძიუდოისტთა საქართველოს ჩემპიონატი.** ჩვენი ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ავთანდილ ჭრიკიშვილმა 81-დან 90 კილოში გადაინაცვლა და ახალ წონაში დებიუტი ოქროს მედლით აღნიშნა. გადამწყვეტ პაექრობაში მან ერთი გაფრთხილებით აჯობა უშანგი მარგიანს. დანარჩენ წონებში საქართველოს ჩემპიონები გახდნენ: ლუხუმ ჩხვიმიანი (60 კგ), ვაჟა მარგველაშვილი (66), ფრიდონ გიგანი (73), თამაზ კირაკოზაშვილი (81), ლაშა ტაველური (100), და გურამ თუშიშვილი (+100).



**გივი გაგუა**

## ფორმულა 1

# როსბერგის შემოდგომა



**ნიკო როსბერგი პროფესიული ავტოსპორტის ახალი გვირგვინოსანია.** „რედ ბულის“ გერმანელმა პილოტმა 385 ქულით მამის მიღწევა გაიმეორა და სეზონის საბოლოო ცხრილში 5 ქულით გაუსწრო ბრიტანელ თანაგუნდელ ლუის ჰემილტონს, რომელმაც განვლილ წლებში უკვე სამჯერ ააბიჯა ოლიმპზე.

ბუნებრივია, კონსტრუქტორთა დავაც 765 ქულით „რედ ბულმა“ მოიგო.

**კობა კობახიძე**

## ინტერნეტიდან

# გახდისთვის დაბადებული

**შეიძლება ზოგს დაავიწყდა, ზოგს კი უბრალოდ მოგონილი ჭორი ეგონა ცნობილი პარაგვაელი მოდელის ლარისა რიკელმეს დანაქადნები — თუკი პარაგვაის საფეხბურთო ნაკრები მუნდიალზე გასვლას შეძლებს, მზად ვარ შუა სტადიონზე სამოსი შემოვიძარცვო და ამ გზით დავუმტკიცო ერთგულება ჩემს „თეთრწითლებსო“.**

ლარისამ ეს ამბავი ამჯერად კიდევ ერთხელ გაიხსენა და კვლავ გამოთქვა მზადყოფნა, რომ იგი არც გახდაზე დაიხევს უკან და რამე რომ იყოს, საკუთარი ქვეყნის ეროვნული ნაკრებისათვის ასევე მზადაა დაეცეს, ვითარცა ლარის კურსი და გაშიშვლდეს, ვითარცა ქართული ეკონომიკა.

უნდა აღინიშნოს, რომ პარაგვაის საფეხბურთო ნაკრებს ჯერ კიდევ აქვს რუსეთში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი, ლარისა კი გახდას რომ არ დაიზარებს — რად უნდა ამას ბევრი ლაპარაკი...




**როსტომ რაჭველიშვილი**

# გიზო ჟორდანიას უკვდავება



### ბატონ გიზო ჟორდანიას ოჯახის განცხადებები

გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს, საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ გიორგი მარგველაშვილს, ქალაქ თბილისის მერს, ბატონ დავით ნარმანიას, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირს, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრს, საქართველოს კულტურის ფონდს, ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს ბიზანტინოლოგთა ეროვნულ კავშირს, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებულ ქრისტიანული კულტურის კვლევის საერთაშორისო ცენტრს, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრს, გიზო ჟორდანიას სამსახიობო და სარეჟისორო სკოლაგამოვლილ მრავალრიცხოვან მოწაფეებს, ვინც მოღვაწეობს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიებს, უცხოელ კოლეგებსა და თანამოღვაწეებს, თითოეულ მაყურებელს, ფართო საზოგადოებას, რომელთაც გაიზიარეს ჩვენი ოჯახის მწუხარება და დიდი პატივი მიაგეს განსვენებულს.

**უდიდეს** მადლიერებას გამოვთქვამთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის, ხელოვნების უნივერსიტეტის, ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის დრამატული თეატრის, აჭარის სახელმწიფო რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის, გაზეთების „აჭარა“ და „ადჟარიას“, აჭარის თითოეული მსმენელისა და მაყურებლის მიმართ ბატონ გიზო ჟორდანიას ღვაწლის დაფასებისა და იმ დიდი მწუხარების გამო, რომელიც მათ ჩვენთვის ესოდენ მძიმე დღეებში გამოხატეს.

**გულწრფელ** მადლობას გამოვხატავთ საქველმოქმედო ფონდ „ქართუ“-ს მიმართ ბატონ გიზო ჟორდანიას შემოქმედებისა და პიროვნული თვისებების შეფასებისა და ჩვენდამი თანაგრძნობის გამო ამ დიდი მწუხარების ჟამს.

---

ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის ადმინისტრაცია და შემოქმედებითი კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი რეჟისორი, საზოგადო მოღვაწე, რუსთაველისა და მემედ აბაშიძის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი

**გიზო ჟორდანია**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

შპს „გაზეთი აჭარა და ადჟარიას“ თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდი ქართველი რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი

**გიზო ჟორდანია**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

იური ოსიპოვი, გურამ ჯაიანი, ჯემალ კალანდაძე, თამაზ სანაძე, გივი ცაგარელი, აჩიკო გოგელია ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩვენი მეგობრის ლევან ჯიბუტის მეუღლე, ქალბატონი

**ვენერა ჯიბუტი**

---



მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გლოვობენ კუბის ყოფილი ლიდერის **ფიდელ კასტროს** გარდაცვალებას. ეს უნიკალური ფოტო, რომელიც ფოტოკორესპონდენტმა ხაჩატურ ვართანიანცმა თავისი პირადი არქივიდან რედაქციას მოგვაწოდა 1979 წელს თბილისის აეროპორტშია გადაღებული, როდესაც „თავისუფლების კუნძულის“ მგზნებარე რევოლუციონერი გავლით ჩვენს ქვეყანაში იმყოფებოდა.

---

## ხსოვნა

# პოეტ ლიდა სტვილიას ხსოვნას



ო, როგორ გვიმძიმს შენზე წარსულში ლაპარაკი. სიტყვები არ გვყოფნის განცდების გამოსახატავად. შენი სახით სამშობლოს დააკლდა ჭეშმარიტი მამულიშვილი, სამშობლოზე და ერზე მოფიქრალი, უზადოდ შეყვარებული, რაფინირებული ინტელიგენტი, პოეტი ქალბატონი, ოჯახს — უერთგულესი ადამიანი, თავდადებული დედა, მოსიყვარულე ბებია, ხოლო ჩვენს სამეგობროს — უაღრესად კეთილი, უღალატო, ტკბილადმოუბარი, ჭირსა და ლხინში გვერდით მდგომი მეგობარი.

ძნელია შენი დანაკლისი ჩვენთვის, ყველასთვის ძვირფასო ქალბატონო ლიდა. რაც დრო გავა, მით უფრო გაგვიძნელდება უშენობა. მართალია, შორეთს მიდიხარ, მაგრამ არ გეგონოს, დაგვავიწყდები. შენ ყოველთვის ჩვენს გულებში იქნები მარად დაუვიწყარო შენი განვლილი ცხოვრებიდან გამომდინარე გმირო, რაინდო ქალბატონო. შენი გარდაცვალების გამო თავზარდაცემულ შენს მეგობრებს სიტყვები შემოგველია, ისღა დაგვრჩენია, გითხრათ, მშვიდობით პირნათელო, ჩვენო ძვირფასო მეგობარო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული, ამინ!

მეგობრების სახელით:

**ვაჟა ეგრისელი, დავით იაკობიძე, ბიეტა აბშილავა, მიმოზა ცანავა, ნანული (ნანა) გუნია, იამზე არველაძე, ზოია ვაშაკიძე, ლილი გოგებაშვილი, დოდო დანელია, მზია ჩხეტიანი, ლინა ბარათაშვილი, ეთერ ზარიძე, მთვარისა კერესელიძე, ეთერ აფაქიძე, ზაირა ზედგენიძე.**

---



შვილები ოთარ, თემურ ბერიანიძეები, შვილიშვილები შალვა, ნატალია ბერიანიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შალვა ზაქარიას ძე ბერიანიძე**

პანაშვიდი 29, 30 XI, დაკრძალვა 1 XII, 14 საათზე, მის: ჭავჭავაძის გამზირი №75, II სადარბაზო.

---

## სანთელი

# ვლადიმერ ჯაფარიძე

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ენერგეტიკოსი, საქართველოს ელექტროენერგეტიკის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ბატონი **ვლადიმერ ჯაფარიძე**.

ბატონი ვლადიმერი დაიბადა ქ. თბილისში 1923 წლის 20 თებერვალს. 1940-1945წწ. სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამშენებლო ფაკულტეტზე ჰიდროსადგურების მშენებლობის განხრით, იმავდროულად მუშაობდა ხრამჰესი-I-ის მშენებლობაზეც. 1948-1951 წლებში შრომითი საქმიანობა დაიწყო საქართველოს ენერგეტიკის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კვლევით ინსტიტუტში, შემდეგ „თბილჰიდროპროექტში“ მთავარ ინჟინრად. 1952-1954წწ. მუშაობდა ხრამჰეს-II-ის მშენებლობაზე მთ. ინჟინრის მოადგილედ და საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსად. 1957-1958წწ. მუშაობდა უფროს რეფერენტად საქართველოს მინისტრთა საბჭოში, საიდანაც მივლინებულ იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ენერგეტიკისა და წყალმომარაგების დარგში. ასრულებდა მრჩეველ-კონსულტანტის მოვალეობას. 1971 წლიდან 14 წლის განმავლობაში უკვე გენერალური დირექტორის რანგში მოუწია მუშაობა ჟინვალის კომპლექსური ჰიდროკვანძის მშენებლობაზე ექსპლუატაციაში გაშვებამდე. 1994-2004წწ. ბატონი ვლადიმერი ჟინვალის ჰიდროკვანძის უცვლელი კონსულტანტი იყო. 2009წ. აირჩიეს საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის წევრად — აკადემიკოსად.



**საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო,**
**საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირი,**
**საქართველოს ენერგეტიკის აკადემია,**
**საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი**

---

## კრიმინალი

# მკვლელობა ლანჩხუთში

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ჩიბათში შუახნის მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

მამაკაცს დანით მრავლობითი ჭრილობები აქვს მიყენებული. ჩიბათის მცხოვრებლების თქმით, შემთხვევა, სავარაუდოდ, გუშინწინ მოხდა. მეზობლების ვერსიით, გარდაცვლილს კონფლიქტი თანასოფლელთან მოუვიდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, მკვლელობა გახსნილია.

# თბილისში მამაკაცის ცხედარი იპოვეს

**თბილისში ყაზბეგის გამზირზე მამაკაცის ცხედარი იპოვეს. გარდაცვალების მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. ცხედარი პროზექტურაშია გადასვენებული.**

შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო. სხვა დეტალები უცნობია.

# გამოძიება დასკვნით ეტაპზეა



მთავარი პროკურორის ინფორმაციით კრწანისის სამხედრო ბაზაზე თავდასხმის ფაქტზე გამოძიება დასკვნით ეტაპზეა.

**„ამ ეტაპზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ გუშაგი მოქმედებდა შიდა ინსტრუქციებით და შიდა ბრძანებების ფარგლებში. დანარჩენს რაც შეეხება, გამოძიება დასკვნით ეტაპზეა. მიღებული იქნება სამართლებრივი გადაწყვეტილება და ამის შესახებ გავრცელდება განცხადება“,** — განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

შეგახსენებთ, რომ თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 23 ოქტომბერს, ცენტრ „კრწანისის“ ტერიტორიაზე უცხო პირების შეჭრის მცდელობას ჰქონდა ადგილი. ისინი არ დაემორჩილნენ განწესში მყოფი გუშაგის სიტყვიერ გაფრთხილებას და თავს დაესხნენ მას, რის შემდეგაც გუშაგმა წესდებით გათვალისწინებული მოქმედებები განახორციელა და ცენტრის ტერიტორიაზე შეჭრის ფაქტი აღკვეთა. თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ცენტრის მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერებისას ერთ-ერთი თავდამსხმელის ცხედარი აღმოაჩინეს.

# განახლებული „ცისფერი მეჩეთი“



**სტამბოლის ცისფერ მეჩეთს მასშტაბური რეაბილიტაცია ჩაუტარდება. სულთან აჰმედის მეჩეთი, ანუ ცისფერი მეჩეთი (Blue Mosque) სტამბოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული დაწესებულებაცაა.**

როგორც ირკვევა მეჩეთს რეაბილიტაცია 30 წელზე მეტია, არ ჩატარებია და ამჟამად განახლებას საჭიროებს.

მისი რეაბილიტაცია 2017 წლიდან დაიწყება და გარდა ფასადური რესტავრაციისა, განხორციელდება საკმაოდ დიდი მოცულობის შიდა სამუშაოებიც, რათა მეჩეთი იქნეს რეაბილიტირებული.

მეჩეთი საყოველთაოდ აღიარებულია როგორც ისლამური არქიტექტურის განუმეორებელი ქმნილება. მეჩეთს ლურჯი დაერქვა მისი ინტერიერის ლურჯი ფილების გამო.

მეჩეთი შენდებოდა 1609-1616 წლებში სულთანი აჰმედ I-ის ბრძანებით, რომლის სახელსაც ის ამჟამად ატარებს. სულთანი დაკრძალულია მეჩეთის აკლდამაში. მეჩეთი სტამბოლის უძველეს რაიონში მდებარეობს, რაც 1453 წლამდე კონსტანტინოპოლის, ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქის, ცენტრს წარმოადგენდა. მის გვერდით მდებარეობს უძველესი იპოდრომი, ხოლო მოშორებით აია სოფია, ყოფილი ქრისტიანული ტაძარი, რომელიც ამჟამად მუზეუმად არის გადაკეთებული.

მეჩეთთან სიახლოვეს მდებარეობს თოფქაფის სასახლე, ოსმალეთის სულთნების რეზიდენცია 1853 წლამდე, და ასევე ბოსფორის სანაპიროც. ზღვიდან ამ მეჩეთის გუმბათები და მინარეთები ქალაქის ძველი უბნის პანორამის მთავარი ნაწილია, რაც მშენებელთა ჩანაფიქრი იყო.

# მადამ ტიუსოს მუზეუმი თურქეთში

**ცნობილი მუზეუმი** Madame Tussauds, **რომელიც მსოფლიოს ბევრ ქალაქში მდებარეობს, ამიერიდან სტამბოლშიც ამოქმედდება. მუზეუმი ოფიციალურად გუშინ გაიხსნება და ის მუზეუმების ქსელის რიგით 21-ე მუზეუმი იქნება.**



მისი დათვალიერება და ცნობილი ადამიანების ცვილის ფიგურების ხილვა ყველა დაინტერესებულ ადამიანს შეეძლება.

Madame Tussauds სტამბოლში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ტურისტულ ქუჩაზე — ისტიკლალზეა განთავსებული.

მუზეუმს 2000 კვ/მ უკავია. ის გრანდ პერის შენობაში მდებარეობს.

მსოფლიო დონის პიროვნების ცვილის ფიგურებთან ერთად, სტამბოლის Madame Tussauds-ში თურქეთის ისტორიული ფიგურებიც იქნება გამოფენილი.

მუზეუმის ადმინისტრაციას ერთი ფიგურის დამზადება საშუალოდ 165 ათასი ლირა დაუჯდა.

## ანეკდოტები

**— რა იყო, ჯუმბერ, რა მოწყენილი ხარ?.. მოდი, ბარში წავიდეთ, გოგოები გამოვიჭიროთ, მერე მამაპაპური სექსი გავაჩაღოთ!..**

**— რას ამბობ, ჩემო ლოვიკო! ასე პირდაპირ, მოურიდებლად გოგოების თვალწინ?!.**

* * *

**თანაკლასელთა შეხვედრაზე უცბად გამოჩნდება ხოლმე, ვინ როგორ სწავლობდა და რას**



**მიაღწია ცხოვრებაში: ოროსნებს, როგორც წესი, ორი რამ აქვთ: ბინა და მანქანა. სამოსნებს — სამი: ბინა, მანქანა და აგარაკი. ხუთოსნებს კი ხუთი რამ გამოარჩევთ: სათვალე, ვალები, სიმელოტე, თავის ტკივილი და უჟანგავი ფოლადის ოქროს მედალი.**

* * *

**— იცი, რას გეტყვი, ჩემო კარგო, ის კი არა, რომ ფულთან შელევა მიჭირს, მასთან შეხვედრასაც ვერაფრით ვერ ვახერხებ!**

* * *

**ორი ქერათმიანი მანდილოსანი საუბრობს:**

**— ისე, კაცმა რომ თქვას, ქმარი წრუწუნასავითაა: ერთი მხრივ, რა უჭირს, საყვარელი არსებაა, მაგრამ როგორც კი სახლში გაჩნდება, მაშინვე მუსრი უნდა გაავლო!**

## რას არ გაიგებ!..

# მარსზე გაყინული ზღვა აღმოაჩინეს



**ნასას სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ პლანეტა მარსის ზედაპირზე გაყინული ზღვა არსებობს. ცნობები ამის შესახებ გამოაქვეყნა კოსმოსურმა სააგენტომ.**

აქამდე მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ოდესღაც მარსზე არსებობდნენ მდინარეები, ტბები და ოკეანეები. წყლის მასის მოცულობა პლანეტაზე დაახლოებით სამხრეთ-ყინულოვანი ოკეანის თანაბარი იყო. ვარაუდობენ, რომ ოკეანეები მარსზე არსებობდა ვულკანური ამოფრქვევების პერიოდში, რადგან სხვა დროს ტემპერატურა იმდენად დაბალია, რომ წყალი აუცილებლად გაიყინებოდა.

პლანეტამ წყლის უდიდესი ნაწილი დაახლოებით 3,7 მილიარდი წლის წინათ დაკარგა.

# ჟერარ დეპარდიე სტალინის როლში



**სულ ახლახან დასრულდა გადაღებები ფანი არდანის ახალი ფილმისა „სტალინის დივანი“, რომელშიც მთვარ როლს ცნობილი ფრანგი მსახიობი ჟერარ დეპარდიე თამაშობს. ფილმი გადაღებულია ჟან-დანიელ ბალტასატის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით.**

ეს არ არის ბიოგრაფიული ან ისტორიული კინო, მასში აღწერილია სასიყვარულო სამკუთხედის ამბავი.

აღსანიშნავია, რომ მსახიობს ფილმიდან ჰონორარი არ მოუთხოვია. კინოკოსტიუმების დიდი ნაწილი, რუსულმა კინოკომპანია „მოსფილმმა“ ათხოვა რეჟისორს, ხოლო ნამდვილი სტალინის მუნდირის სანახავად, ფანი არდანი მოსკოვში ჩავიდა.

სურათის პრემიერა საფრანგეთში 11 იანვარს გაიმართება.

# ნაომი ქემპბელმა ბუნების დამცველები გააღიზიანა

**„მას უყვარს ცხოველები, მაგრამ ქურქებს მაინც ვერ ელევა“ — ასე წერენ დღეს მსოფლიო დონის მოდელზე. არადა, ნაომი აცხადებდა, რომ ერჩივნა დედიშობილას ევლო, ვიდრე ბეწვისგან დამზადებული ტანსაცმელი ეტარებინა.**



იგი ლონდონიდან ნიუ-იორკში ულამაზესი ქურქით ჩაფრინდა, რითაც ნამეტნავად გააღიზიანა, ასე ვთქვათ, „თანამოაზრეები“, მოდელი ხომ ცხოველების დაცვის ერთ-ერთ აქტივისტად ითვლება.

მიუხედავად იმისა, რომ ქემპბელი ხშირად მონაწილეობს ბუნების დაცვის სხვადასხვა კამპანიებში, ხანდახან საკუთარ პრინციპებს მაინც ღალატობს.

ულამაზესი ქალბატონი თავს იმით იმართლებს, რომ დიზაინერებზე არიან დამოკიდებულები და იმ ტანისამოსის მორგება უწევთ, რასაც სთავაზობენ.

**მოამზადა**
**რუსუდან ქობულიამ**

## განცხადება

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

**ავტორთა საყურადღებოდ!**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.**

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5026; ევრო - 2.6505;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1175;
100 რუბლი - 3.8796; თურქული ლირა - 0.7275;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4169;
1000 სომხური დრამი - 5.2301.

**ამინდი 29 ნოემბრისთვის**

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე -4, | დღე +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -8, | დღე +14 |

დასავლეთი საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე +4 | დღე +19 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -3, | დღე +16 |
| თბილისი: | ღამე -1, | დღე +11 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE